

# ახლოვდება სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში

**პოლიტიკური განათლების მიზანია აღვზარდოთ ნამდვილი კომუნისტები...**

*ვ. ი. ლენინი.*


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 49-ე წელი

№ 210 (14206)

7 სექტემბერი შაბათი 1968

ფასი 2 კაპ.


## ნობათი

[illegible] ...რველმა მდივანმა პ. ნოზაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. იაკობიძემ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. იაკობაშვილმა.

## ვიეტნამელ პატრიოტთა მხარდასაჭერად

[illegible] ...მეში, მტკიცედ უჭერენ მხარს სამხრეთვიეტნამელ პატრიოტებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, უფლებისათვის თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ბედი.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ კონფერენცია ახალ წვლილს შეიტანს ვიეტნამელი პატრიოტების მხარდაჭერის საქმეში, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების სოლიდარობისა და ერთობის განმტკიცებაში, კიდევ უფრო გააძლიერებს აზიისა და აფრიკის ხალხთა აქტივობას მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესის მტრების აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. (საქ[illegible]).

# ვემზადოთ პარტიული სწავლებისათვის!

„დავეუფლოთ ლენინის იდეურ მემკვიდრეობას" — ასე ეწოდება „პრავდის" სარედაქციო წერილს, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის" 5 სექტემბრის ნომერში.

კომუნისტებისა და ყველა მშრომელის პოლიტიკური განათლება მუდამ იყო ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. მაგრამ ახლა, როცა თანამედროვე პერიოდს ახასიათებს სოციალიზმსა და იმპერიალიზმს შორის პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავება, პოლიტიკურ განათლებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ისე როგორც არასოდეს, თვითეულ პარტიულ ორგანიზაციასა და კომუნისტს მოეთხოვება ურყევი იდეური რწმენა, კლასობრივი, პროლეტარული თვითშეგნების სიმახვილე. კომუნისტებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ გაუმკლავდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოტევას, საკადრისი პასუხი გასცენ მოწინააღმდეგის ყოველგვარ ხრიკებს, თუ კი ღრმად იქნებიან დაუფლებულნი ლენინიზმს.

პოლიტიკური განათლების ახალი სისტემის შემოღებამ უდავოდ თავისი კეთილნაყოფიერი შედეგები მოგვცა. მან საშუალება მისცა კომუნისტებს უფრო ღრმად და თანმიმდევრულად დაუფლებოდნენ ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიას, მეცნიერულ კომუნიზმს, სკკპ ისტორიას. ახალი სისტემის შესაბამისად ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების აბსოლუტურმა უმრავლესობამ საქმით უზრუნველყო დიფერენცირებული მიდგომა მომზადების სხვადასხვა დონის მქონე ადამიანთა სწავლების ორგანიზაციისადმი. თუ კი ვიმსჯელებთ ჩვენი რესპუბლიკის მიხედვით, უკანასკნელ სამი წლის მანძილზე, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად ამაღლდა კომუნისტების პოლიტიკური განათლების იდეურ-თეორიული დონე, გამდიდრდა მთელი პროპაგანდისტული მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც განუხრელად ხელმძღვანელობენ სკკპ XXIII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებით, სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს. ამ ორი თვის წინათ გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. იგი სპეციალურად მიეძღვნა საკითხს: „კომუნისტთა და უპარტიოთა მარქსისტულ-ლენინური განათლების მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად".

პოლიტიკური განათლების ქსელში გასული სასწავლო წლის შედეგების შეჯამება ყველა პარტიულ ორგანიზაციაში ჩატარდა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ნიშნით. კომუნისტების პოლიტიკური სწავლების შედეგები განხილულ იქნა პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, პარტიული კომიტეტების ბიუროს სხდომებზე. მიღებულ დადგენილებაში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ნაკლოვანებებზე, და კურსი აიღეს ახალი სასწავლო წლისათვის ორგანიზებულად მზადებისაკენ.

წინასწარი მონაცემები ცხადყოფენ, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება შედარებით კარგად მიმდინარეობს თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის პარტიულ ორგანიზაციებში. პოლიტიკური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის დიდი მზადებაა გაჩაღებული რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში (პარტიული კომიტეტის მდივანი კ. ბაჭრაძე). აქ საამქრო პარტიულმა ორგანიზაციებმა ძირითადად უკვე დაამთავრეს სკოლების დაკომპლექტება. შეარჩიეს პროპაგანდისტები, სამეცადინო აუდიტორიები, მიმდინარეობს საპროგრამო მასალის მიხედვით მსმენელთათვის ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მომარაგება. სასწავლო წლისათვის მზადებაში ასეთი დადებითი მაგალითები ერთეულები როდია.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სასწავლო წლისათვის მზადება ყველგან უნაკლოდ მიმდინარეობს. ზოგან კომუნისტების განათლებას ფორმალურად უდგებიან. ცალკეულ ადგილებში ყველაფერს ქაღალდზე ერთპიროვნულად „აგვარებენ". არის სია, არის პროპაგანდისტი და სკოლაც „დაკომპლექტებულია!" ცხადია, პოლიტიკური განათლების სისტემის ასე უპასუხისმგებლოდ დაკომპლექტება უთუოდ უარყოფით შედეგებს გამოიწვევს მეცადინეობის დაწყების პირველ დღესვე.

პოლიტიკური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება ერთი და ორი დღის საქმე როდია. აქ საჭიროა გულმოდგინე მუშაობა კომუნისტებთან, ბევრი ეგრეთწოდებული „წვრილმანის" გათვალისწინება, რომელმაც შეიძლება შემდეგში იჩინოს თავი. ამიტომაც ცალკეული რგოლების დაკომპლექტებაში საქმე უნდა გადავწყვიტოთ არა ერთპიროვნულად, არამედ კოლექტიურად, საერთო აზრით და საერთო ინტერესების საფუძველზე. სასწავლო წლის დაწყების წინ უნდა შევქმნათ ისეთი ვითარება, რომ არც ერთმა კომუნისტმა, სკოლის მსმენელი იქნება იგი თუ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე, არ იფიქროს, მინდა ვისწავლი, მინდა არა. კომუნისტებს უნდა განვუმარტოთ, რომ მათი პოლიტიკური განათლება მარტო თავიანთი ინდივიდუალური საქმე როდია. ეს ამავე დროს მთელი პარტიის საქმეა.

მომავალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების ქსელში იმითაც იქნება აღსანიშნავი, რომ იგი ემთხვევა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებას. კომუნისტების პოლიტიკური განათლება უნდა წარიმართოს დიდი ლენინის იდეური მემკვიდრეობის ღრმად შესწავლის ნიშნით.

ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების თვითეული კომუნისტისათვის, ყველა მშრომელისათვის მიწოდებისა და გაცნობის საქმეში პროპაგანდისტი გადამწყვეტი ფიგურაა. პროპაგანდისტობა მეტად პასუხსაგები და საპატიო საქმეა. ასევე პასუხსაგებია თვით პროპაგანდისტებთან მუშაობა, ამ დარგში მომუშავე კადრების შერჩევა. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე დარჩენილ დღეებში პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა პროპაგანდისტებთან, განუმტკიცონ მათ ავტორიტეტი, წაახალისონ ისინი თავიანთ პასუხსაგებ და სასარგებლო შრომაში.

პოლიტიკური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. გასაკეთებელი კი ჯერ კიდევ ბევრია. საჭიროა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. ახლა ეს არის ყველაზე უმთავრესი ამოცანა პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობაში.

მივცეთ პარტიულ პროპაგანდას მძლავრი გაქანება, ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პოლიტიკურ სწავლებაში — ასეთია ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა.

## მეტი ყურადღება საკონსერვო მრეწველობის განვითარებას

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიაში**

5 სექტემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გ. ი. ჩოგოვაძე.

კომისიამ განიხილა კონსერვების წარმოების 1968 წლის გეგმის შესრულებისა და საკონსერვო მრეწველობის განვითარების პერსპექტივების საკითხი.

კომისიამ მოისმინა სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრის ვ. პ. ზოტოვისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის კ. ს. ნაზარენკოს მოხსენებანი. მათ კომისიას მოახსენეს, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ სამინისტროები კონსერვების წარმოების გადიდებისათვის და როგორია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების პერსპექტივები.

საკონსერვო მრეწველობის განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა. 1950 წელს სსრ კავშირში გამოუშვეს 1.535 მილიონი პირობითი ქილა კონსერვები. 1968 წლისათვის კონსერვების წარმოებამ 8.676 მილიონ ქილას მიაღწია.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს დეპუტატებმა დ. ე. მაგომაევმა, ე. ტ. შაიხოვმა, ს. ვ. არაქელიანმა, ნ. ე. მიროშნიჩენკომ და სხვებმა, რომლებმაც აღნიშნეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი ხილისა და ბოსტნეულის შესყიდვისა და რეალიზაციის საქმეში, თქვეს, რომ საკონსერვო მრეწველობაში სუსტად ინერგება მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები. ორატორებმა აღნიშნეს, რომ საკონსერვო მრეწველობის განვითარებისათვის გამოყოფილ ასიგნობათა ათვისება ყოველთვის როდი ხდება მთლიანად.

კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია საკონსერვო მრეწველობის შემდგომი განვითარება და მისი სანედლეულო ბაზის განმტკიცება.

კომისიის სხდომაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. სპირიდონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, სამინისტროებისა და უწყებების, პრესის წარმომადგენლები. (საკდესი).



# ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეს დღეებში

**ახლოვდება** დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავის დღესასწაული, რესპუბლიკის საზოგადოებრიობა დიდი აღმავლობით ემზადება ამ თარიღისათვის.

საიუბილეო ზეიმი დაიწყება 10 სექტემბერს.

ზეიმის პირველ დღეს გაიმართება სსრ კავშირის მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი, სურათების სახელმწიფო გალერიაში მოეწყობა პოეტისადმი მიძღვნილი სამხატვრო გამოფენა ვერნისაჟი. საღამოს ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში უჩვენებენ ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისს".

**11** სექტემბერს 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართება ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. საღამოს ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენა დაეთმობათ დიდი საიუბილეო კონცერტის მონაწილეებს.

**13** სექტემბერს დილით ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავს შეამკობენ ყვავილებით. შუადღისას თბილისელები და სტუმრები დაესწრებიან ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის საძირკვლის ჩაყრას ხიდთან, რომელიც მის სახელს ატარებს. იუბილე დამთავრდება პოეზიის საერთაშორისო საღამოთი, რომელიც იმავე დღეს გაიმართება თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში. (საქდესი).

## საქართველო იზმირის ბაზრობაზე

საბჭოთა საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის განვითარებაში. რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქცია იგზავნება 67 ქვეყანაში.

ამ დღეებში იზმირში გაიხსნა 37-ე საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობს საზღვარგარეთის 42 სახელმწიფო. საბჭოთა კავშირი ამ ბაზრობის ტრადიციული მონაწილეა. საქართველოს სს რესპუბლიკა პირველად წარსდგა ამ გამოფენაზე დამოუკიდებელი განყოფილებით. ბაზრობის გახსნას დაესწრო საქართველოს მთავრობის დელეგაცია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გ. ჩოგოვაძის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. დავითაძე, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ჩანბა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში რ. ელიგულაშვილი.

იზმირის ბაზრობაში საქართველოს მონაწილეობას მიეძღვნა პრეს-კონფერენცია, რომელიც ჟურნალისტთა კავშირმა მოაწყო 6 სექტემბერს.

პრეს-კონფერენცია გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორმა დ. მჭედლიშვილმა. მან სიტყვა მისცა მთავრობის დელეგაციის მეთაურს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს გ. ჩოგოვაძეს.

ამხ. ჩოგოვაძემ თქვა, რომ იზმირის საზოგადოებრიობამ, ბაზრობის დამთვალიერებლებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საბჭოთა კავშირისადმი, და, კერძოდ, საქართველოსადმი.

საქართველოს ეროვნული სტილით გაფორმებულ პავილიონში, რომელსაც ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი უკავია, გამოფენილია რესპუბლიკის 100-ზე მეტი საწარმოს პროდუქცია. აქ ნახავთ თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის ნაწარმს, იმ წყალქვეშაფრთიანი გემების მოდელებს, რომლებსაც ქართველი გემთმშენებლები უშვებენ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პროდუქციას, იზმირელები, ბაზრობის სტუმრები, ყურადღებით ეცნობიან თბილისის მეტროპოლიტენის მაკეტებს.

დიდი წარმატება ხვდა წილად თბილისის მოდელების სახლს. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ შაბათ-კვირაობით ქართველი მხატვარ-მომოდელეების მზა ტანსაცმლის ახალი ფასონების ჩვენების ორ-ორი სეანსი ეწყობა.

პირველ დღეებშივე საქართველოს პავილიონში 18 კომერციული გარიგება დაიდო რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის მიწოდების თაობაზე.

— იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე ჩვენი რესპუბლიკის წარმატება, — თქვა ამხ. ჩოგოვაძემ, — მოწმობს ქართველი ხალხის უდიდეს მიღწევებს, რომლებიც მან მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ლენინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით.

დასასრულ გ. ჩოგოვაძემ უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებზე. (საქდესი).

## ტანკისტის დღის აღსანიშნავად

**საქართველოს** მშრომელები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნავენ ტანკისტის დღეს.

6 სექტემბერს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის მშრომელების, თბილისის გარნიზონის ჯარების ნაწილებისა და ქვეგანაყოფების წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც ტანკისტის დღეს მიეძღვნა.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოშაძემ.

ტანკისტის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველმა მოადგილემ, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტმა დ. დრაგუნსკიმ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

## ბრძანებულება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა**

**ამხ. მ. თ. ჩიხლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

**საბჭოთა** ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მიხეილ თეოფანეს-ძე ჩიხლაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
**გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
**ზ. კვაჭაძე.**

თბილისი,
1968 წლის 6 სექტემბერი.

## მხარს უჭერენ წალენჯიხელთა თაოსნობას

**ზუგდიდი**

☐ ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა წლიური გეგმით უნდა მოკრიფონ 27.195 ტონა ჩაის ფოთოლი. 6 სექტემბრისათვის მოკრეფილი იყო 22.969 ტონა, რაც წლიური გეგმის 84,4 პროცენტს შეადგენს.

☐ *ზუგდიდელთა გადაწყვეტილებაა ჩაის კრეფის წლიური გეგმა შეასრულონ სექტემბრის ბოლოსათვის, ვალდებულება კი ოქტომბრის პირველ ნახევარში.*



სურათებზე: ზემოთ — ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მექანიზებული უბნის უფროსი ტ. ლომია (მარჯვნივ), მექანიზატორები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. აფხაზავა (ცენტრში) და ნ. ფაცაცია. ქვემოთ — ჩაის საკრეფი მანქანები პლანტაციებში გასვლის წინ.

ფოტო ი. დავითაშვილისა და ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ზუგდიდელი მეჩაიეები პირობას შეასრულებენ

**საუბარი საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. ბ. კვარაცხელიასთან**

**ზუგდიდის** რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეებს ერთ-ერთი პირველი გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით ჩაის ფოთლის კრეფის რესპუბლიკური გეგმისა და ვალდებულების შესრულებაში, — განაცხადა „კომუნისტის" რედაქციის თანამშრომელთან საუბარში პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ბ. კვარაცხელიამ,—ამას ისიც მოწმობს, რომ წელს გეგმით სამშობლოს უნდა მივცეთ 27.195 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, რაც რესპუბლიკური დავალების მერვედზე მეტია.

დასამალავი როდია, რომ განსაკუთრებით არახელსაყრელმა ამინდმა ერთგვარად განაპირობა ჩამორჩენა ჩაის კრეფის საქმეში. მაგრამ არის რეზერვები, იმის შესაძლებლობა, რომ სექტემბერში მივაღწიოთ წარმატებას. ზუგდიდელებს გადაწყვეტილი აქვთ არ უღალატონ თავიანთ სიტყვას და ღირსეული წვლილი შეიტანონ საქართველოს მეჩაიეთა ლაშქრობაში 215.000 ტონა ჩაისათვის.

ამ დღეებში პარტიის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა დასახეს ღონისძიებები ჩაის ფოთლის კრეფის ტემპის გასაძლიერებლად. გაჩაღებულ თავდადებულ შრომას სათავეში უდგანან რაიონის ვეტერანი და ახალი თაობის სახელოვანი მეჩაიეები, კომუნისტები. დიდი შრომითი აღმავლობაა ინგირის, ხეცერის, ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობებში; ჯიხასკარის, ახალსოფლის, რუხის, შამგონის, ოქტომბრის და სხვა კოლმეურნეობებში. ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმმა და სოფელ ჩხორიის ტყაიის უბნის კოლმეურნეობამ დაიმსახურეს პარტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

ცხადია ისიც, რომ ჯერ კიდევ ყველგან კარგად როდი მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა. მაგალითად, ერთნაირ პირობებში მომუშავე ჯიხასკარის და ჭაქვინჯის კოლმეურნეობებს სხვადასხვა შედეგები აქვთ. ჯიხასკარელები წინ მიდიან, ხოლო ჭაქვინჯელები ჩამორჩნენ. ამას წინათ რაიკომის ბიურომ იმსჯელა ჭაქვინჯელთა ჩამორჩენის მიზეზებზე და საჭირო ღონისძიებანი დასახა. მაგრამ ჭაქვინჯელებმა დღემდე თავი ვერ დააღწიეს ჩამორჩენას.

ამჟამად ყველგან თავდადებული შრომაა გაჩაღებული. უკანასკნელი მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩამორჩენა დაძლეული იქნება. 6 სექტემბრისათვის რაიონში მოკრეფილი იყო 22.969 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ წლიური გეგმის 84,4 პროცენტი. ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმმა გეგმით გათვალისწინებული 2.450 ტონიდან მოკრიფა 2.302 ტონა ჩაის ფოთოლი, აქედან ჩაის საკრეფი მანქანებით — 2.150 ტონა. ამჟამად ჩაის კრეფაზე პლანტაციებში ყოველდღიურად მუშაობს 50-ზე მეტი ჩაის საკრეფი მანქანა და 25-28 ათასი ხელით მკრეფავი. დიდ დახმარებას გვიწევენ რაიონისა და ქალაქ ზუგდიდის მუშა-მოსამსახურეები და მოსწავლეები.

რაიონის მეჩაიეები, რომლებიც ჩაბმული არიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალი წარმატებების მოპოვებისათვის ეჯიბრებიან მეზობელ — მახარაძის რაიონის მაჩაიეებს, სიტყვას არ გატეხენ და ჩაის კრეფის წლიურ გეგმას სექტემბრის ბოლოსათვის შეასრულებენ, გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცემენ ასობით ტონა ჩაის ნედლეულს.




# სექტემბერი ჩაის კრეფის გადამწყვეტი თვეა

**არცერთი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დანაკარგი!**

## მზადება ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების ქსელში

# გულიდან გულში

### ერთი პროპაგანდისტის გამოცდილებიდან

საპატიო დაფაზე, რომელიც პარტიის რაიკომის შენობაშია გამოფენილი, ჩემი ყურადღება მიიპყრო ფოტოსურათმა, რომელზეც გამოხატულია ენერგიული სახის, გამხდარი ახალგაზრდა კაცი. წარწერა გვამცნობს, რომ იგი არის „საქსოფლტექნიკის“ დუშეთის განყოფილების სახელოსნოს გამგე, ინჟინერ-მექანიზატორი და მოწინავე პროპაგანდისტი სიმონ ჩოხელი.

პროპაგანდისტი ხომ ფართო განათლების, კრისტალურად პატიოსანი ადამიანია. პროპაგანდისტის პირადი მაგალითი აჯადოებს ადამიანებს და მათს მეხსიერებაში ღრმა კვალს ტოვებს, პროპაგანდისტი გამოცდილი და გონებადამჯდარი კაცია, რომელსაც არა მარტო იურიდიული უფლება აქვს სხვებს ასწავლიდეს, არამედ მორალურიც.

ყოველ ადამიანს თავისი ისტორია აქვს. სიმონ ჩოხელის ცხოვრების ამბავი შესანიშნავი მასალაა, რომელიც ყველა პროპაგანდისტს გამოადგება. აღარ არის ქვარტლისაგან გაშავებული მიწური ქოხები მის სოფელში — თოთიაურებში. სამაგიეროდ სიმონის ბიძაშვილებს თანამედროვე ტიპის ორსართულიანი სახლები აუშენებიათ, კიდევ უფრო გამრავლებულა ჩოხელთა ოჯახი. ბევრ მათგანს კარგი განათლება მიუღია, ზოგი კვლავ მამა-პაპათა ტრადიციულ ხელობას—მეცხვარეობას გაჰყოლია. სიმონმა კი ამ შვიდი წლის წინათ თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა, იყო სახელოსნოს რემონტიორი, მართავდა ტრაქტორს და კომბაინს, მერე სახელოსნოს გამგეობა დააკისრეს. 1960 წლიდან სიმონი კომუნისტურ პარტიაშია. ოთხი წელიწადია, რაც პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა. სიმონს არასოდეს არ დაავიწყდება ის მღელვარება, რაც მან პირველი მეცადინეობის დროს განიცადა. რამდენიმე დღე გულდასმით ემზადებოდა. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის პირველი მეცადინეობის თხუთმეტი წუთი სკოლის ამოცანების განმარტებას მიუძღვნა. მერე დაიწყო მასალის თხრობა, უფრო სწორად, ეს კარგად მომზადებული პატარა ლექცია იყო, მსმენელებმა იგრძნეს, რომ მას ეხერხება მასალის ნათელი, სახოვანი ენით გადაცემა. მაგრამ საერთოდ თვითონ მაინც კმაყოფილი არ იყო მეცადინეობით.

— შეკითხვები გაქვთ? — იკითხა პროპაგანდისტმა.

შეკითხვები არ იყო.

ჩოხელი მიხვდა, რომ იგი არ არის ცუდი ლექტორი, მაგრამ სუსტია როგორც ორგანიზატორი, როგორც სკოლის ხელმძღვანელი.

კიდევ ერთი ხინჯი დარჩა გულში პროპაგანდისტს. მისი პირველი მეცადინეობა არაფრით არ იყო დაკავშირებული ცხოვრებასთან, საწარმოს პრაქტიკულ ამბებთან.

ამ ნაკლოვანებებს გამოსწორება სჭირდებოდა. პროპაგანდისტთა რაიონულ სემინარზე სიმონ ჩოხელს საუბარი ჰქონდა გამოცდილ ამხანაგებთან. ჰოპორტის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ეფემია ლაფანაშვილმა, რომელსაც პროპაგანდისტული მუშაობის დიდი სტაჟი აქვს, თქვა, რომ მთავარია გახსოვდეს ვისთან ატარებ მეცადინეობას. სულ სხვაა, თუ მსმენელები მასწავლებლები არიან და არა მექანიზატორები. ცხოვრებასთან ყოველთვის ახლოს ყოფნა —აი რა არის აუცილებელი. ეცადე, რომ საუბარი მშრალი ან აკადემიური არ გამოვიდეს...

გავიდა დრო. სიმონ ჩოხელი თანდათანობით დაეუფლა პროპაგანდისტის ხელოვნებას. მას კვლავ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის ხელმძღვანელობა დაეკისრა, რომელშიც თექვსმეტი კაცი იყო. ესენი იყვნენ სახელოსნოს მუშები და მოსამსახურეები. სკოლაში ბეჯითად სწავლობდნენ შემდუღებელი შ. კარიაული, მექანიკოსები ი. თანიაშვილი და პ. ჭინჭარაშვილი, ბრიგადირი ვ. წიკლაური, მექანიკოსი ი. ლაზვიაშვილი, გამწყობი ს. ფიცხელაური და სხვები.

ამ ხალხის შრომაზეა დამოკიდებული სახელოსნოს წარმატება თუ წარუმატებლობა. მათი ვაჟკაცური მარჯვენა ასრულებს ტრაქტორებისა და კომბაინების, სათესებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტს. სიმონი სათითაოდ ჩამოთვლის თვითეული მსმენელის თვისებებს. ხარატი ნიკოლოზ ბულაური თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატი, დაუზარელი და ინიციატივიანი ვაჟკაცია, რომელიც პირადი შრომით განამტკიცებს კოლექტივის საერთო წარმატებას. ის არავის არ ჩამოუვარდება პროგრამის ათვისებაში.

ვალიკო წიკლაური სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირია. მას არაერთხელ უსახელებია თავი მინდვრის სამუშაოებში. შემდუღებელი შაქრო კარიაული, მასთან ერთად ნიკო ბულაური და სხვები ნიჭიერი რაციონალიზატორები და ახლის მაძიებლები არიან. ერთი მაგალითი. შარშან სახელოსნოში დაამზადეს ამოძირკვული ჯაგის გასატანი მოწყობილობა. იგი იდგმება საძირკველაზე და ტრაქტორის წარმადობას ზრდის დაახლოებით ორჯერ. ამ მოწყობილობას ამზადებდნენ კოლექტიურად ინჟინრების შალვა ბურდულის, თენგიზ ლალიაშვილის და სიმონ ჩოხელის მონაწილეობით. გატაცებით იშრომეს წრის მსმენელებმაც.

ნუთუ ამ ხალხს სათქმელი არაფერი აქვს?

— აქვს და კიდევაც ამბობენ.

მორიგ მეცადინეობას სიმონ ჩოხელი ატარებდა სულ სხვანაირად. მან რამდენიმე სიტყვით მსმენელებს მოაგონა, თუ რაზე იყო ლაპარაკი წარსულ მეცადინეობაზე, მერე გააცნო ახალი თემა.

ცოცხალი საუბარი? მერე როგორ წარვმართოთ იგი? დავაყენოთ ჩვეულებრივი კითხვები და ველოდოთ პასუხს? სიმონს გაახსენდა, რომ მეცადინეობის დაწყების წინ ვილაცამ ახსენა ახალი თვითმავალი კომბაინი, რომელიც სახელოსნოში წინადღეს მიეღოთ, ეს კომბაინი საუკეთესოა მთელ მსოფლიოში, მის კონსტრუქტორებს ლენინური პრემია მიენიჭათ.

— ვინ გაეცნო ახალ კომბაინს? — შეეკითხა ჩოხელი. ერთბაშად რამდენიმე კაცი ალაპარაკდა, — ყველანი აქებდნენ საბჭოთა ტექნიკის ამ საოცრებას.

— ახლა განვსაჯოთ, — თქვა პროპაგანდისტმა, — შეგვეძლო ასეთი მანქანის შექმნაზე ოქტომბრის რევოლუციამდე გვეფიქრა?

— რა თქმა უნდა, არა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ კომბაინებს ჩვენ საფუძველი ჩავუყარეთ ჯერ კიდევ პირველ ხუთწლედებში, — დარწმუნებით წარმოთქვა ბულაურმა.

— ეს როგორ? — გაიკვირვეს ზოგიერთებმა.

— ჩვენ რომ იმ წლებში არ შეგვექმნა ინდუსტრიის გიგანტები, უეჭველია ახლა კოსმოსში ვერ ვიფრენდით, არც ატომმავალი გვექნებოდა და არც ახალი კომბაინები...

— მართალია ამხანაგი ნიკო,— მხარი დაუჭირა ბულაურს პროპაგანდისტმა, მან უკვე იგრძნო, რომ მსმენელებმა დაინახეს ღრმა კავშირი შესასწავლ თემასა და დღევანდელობას შორის.

პროპაგანდისტი მეცადინეობას წარმართავდა წინასწარ მოფიქრებული გეგმით, დროდადრო სვამდა კითხვებს. ეს იწვევდა ცოცხალ საუბარს. ვილაცამ თქვა, ჩვენი ქვეყანა სამამულო ომს მოუმზადებელი შეხვდაო. ამან დიდი კამათი გამოიწვია.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ამხანაგებო? — შეეკითხა პროპაგანდისტი.

—არა, ეს სწორი არ არის! — გაისმა ხმები.

— მაშინ ილაპარაკეთ სათითაოდ, დაამტკიცეთ თქვენი აზრი.

ლაპარაკობდნენ ამაღელვებლად, მოჰყავდათ ფაქტები, ზოგი მათგანი მონაწილეა ფაშიზმთან გმირული ბრძოლებისა და კარგად ახსოვს, როგორ ამზადებდა პარტია ხალხს თავდაცვისათვის...

ასე მიმზიდველად და საინტერესოდ ჩატარდა მეცადინეობა. ცოცხალმა საუბარმა დიდად აამაღლა ადამიანთა დაინტერესება, აიძულა ისინი ეფიქრათ, ეპოვნათ პასუხი წამოჭრილ კითხვებზე.

...ყოველგვარი ცოდნა გამოსადეგია, თუ ადამიანებში ვითარდება ინიციატივა და თვითმოქმედება. ადამიანები უნდა მივაჩვიოთ არა მარტო აზროვნებას, არამედ წადილსაც. პროპაგანდისტი ვალდებულია იბრძოდეს, რომ ყველა მსმენელი ცდილობდეს იყოს წარმოების მოწინავე, საქმით განასახიერებდეს კომუნისტური მორალის პრინციპებს, სიმონ ჩოხელმა იცის, რითი ცხოვრობს, როგორ შრომობს თვითეული მსმენელი, მათ წინაშე გამოსვლა უოგლად შეუძლებელია, თუ ისინი მჭიდროდ არ არიან დაკავშირებული სახელოსნოს საქმიანობასთან. ბევრჯერ გახსენებია დიდი ილიას სიტყვები: „ქვეყანა ტაძარი კი არ არის, სადაც კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, სადაც უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს“.

სიმონ ჩოხელი ემზადება პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის. მან საკუთარი გამოცდილებით იცის, რომ კომუნიზმის დიადი იდეების პროპაგანდა მაშინ არის ქმედითი, როცა ის მახლობელი და გასაგებია თვითეული მშრომელისათვის, როცა პროპაგანდა მჭიდროდ არის დაკავშირებული დღევანდელობასთან და, რაც მთავარია, როცა პროპაგანდისტი პოულობს გასაღებს ადამიანთა გულიდან გულში.

**ა. თომაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# იდეური სიმდიდრის პროპაგანდისტები

### სკოლები, სემინარები

**გორი.** (საკ. კორ.). პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია კომუნისტების, ყველა მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლება. პარტიული განათლების სამივე საფეხურში (დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი) წელს ისწავლის 3.000-ზე მეტი კაცი.

შექმნილია სხვადასხვა სახის 15 სემინარი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი ორწლიანი სკოლები. პროპაგანდისტებად შერჩეულია 150 კაცი, რომელთაგან 15 პირველად შეუდგა პროპაგანდისტულ მოღვაწეობას. მათი პროპაგანდისტული დახელოვნებისათვის რაიკომი ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს. პარტიის იდეური სიმდიდრის პროპაგანდას წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა.

### 2.400 მსმენელი

**ჯანი.** (საკ. კორ.). ახალი სასწავლო წლიდან, რაც პირველ ოქტომბერს დაიწყება, 2400 მსმენელი ისწავლის პარტიული განათლების ქსელში. სკოლებისა და სემინარების რაოდენობამ 81-ს მიაღწია. შერჩეულია ამდენივე პროპაგანდისტი. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების 37 სკოლაში თეორიულ ცოდნას აიმაღლებენ კომუნისტები, კომკავშირელები და უპარტიო ამხანაგები.

რაიკომმა გაითვალისწინა ინტელიგენციის სურვილი და მისწრაფება გაიფართოონ თეორიული ცოდნა. ახალ სასწავლო წელს რაიცენტრში იმუშავებს სამი სახალხო უნივერსიტეტი, რომლებსაც უხელმძღვანელებენ რაიონის მთავარი ექიმი თ. გიორგაძე, პროფესორი ნ. ლაჭყებიანი და პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. ლორთქიფანიძე.

### აქტიურად ემზადებიან

**ყვარელი.** (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის ბიურომ აგვისტოს დამლევს სპეციალურად იმსჯელა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაზე. უკვე დაკომპლექტებულია 90 პოლიტსკოლა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლები და სემინარები 2.200 მსმენელით.

გულმოდგინედ შეირჩა და დამტკიცებულ იქნა 90 პროპაგანდისტი. შექმნილია აგრეთვე 28 საკონსულტაციო ჯგუფი. კონსულტანტებად მოწვეული არიან ამ საქმის ენთუზიასტები.

2 სექტემბერს მოეწყო პარტიული განათლების ქსელში მომუშავეთა თათბირი. დაწვრილებით განიხილეს სასწავლო გეგმები, მსმენელთა სიები და სხვა ორგანიზაციული საკითხები. იმ პროპაგანდისტთა შორის, რომლებიც აქტიურად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის, არიან ნინო მარჯანიძე, ნუნუ ერგეშიძე და ალიოშა გიგიაშვილი.

# სახალხო ზეიმზე

### საბჭოთა დელეგაციები კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩავიდნენ

**ფხენიანი,** 6 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების მე-20 წლისთავის დღესასწაულში, რომელიც 9 სექტემბერს სრულდება.

დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. ს. პოლიანსკი. საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრები არიან ზღვისპირეთის მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. მ. კუზნეცოვი და სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნ. გ. სუდარიკოვი.

ამავე თვითმფრინავით ჩამოვიდნენ საბჭოთა ქალების დელეგაცია და სრულიად საკავშირო ალკკ დელეგაცია, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის მე-20 წლისთავის ზეიმში. საბჭოთა ქალების დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი კოსმონავტი მფრინავი ვ. ტერეშკოვა-ნიკოლაევა. სრულიად საკავშირო ალკკ დელეგაციას მეთაურობს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ნ. პასტუხოვი.

სუნანის აეროდრომზე საბჭოთა სტუმრებს დახვდნენ კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე პაკ სენ ჩერი და სხვა ოფიციალური პირნი, დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

# საზღვარგარეთის ცხოვრება

# ერთიანობა კოლონიალიზმის წინააღმდეგ

### აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს კონფერენცია

**ალჟირი,** 5 სექტემბერი. (საკდესი). აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მინისტრების საბჭოს მე-11 სესიის გახსნაზე გამოვიდა ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ჰუარი ბუმედიენი.

ბუმედიენმა თქვა, რომ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრთა შარშანდელი უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ განვლილ დროში „აფრიკას ბევრჯერ შემოუტიეს კოლონიალიზმმა და იმპერიალიზმმა, რაც მისი ღირსების, მისი ტერიტორიული მთლიანობის, მისი ხალხების ერთობის ხელყოფაა და საფრთხეს უქმნის მის მომავალს“. ამასთან დაკავშირებით იგი შეეხო თეთრკანიან დაქირავებულთა შეთქმულებას კონგოში, ისრაელის აგრესიას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ, შეთქმულებას ნიგერიის წინააღმდეგ.

„უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, — განაგრძო ალჟირის სახელმწიფოს მეთაურმა, — რომ აფრიკის კონტინენტის სხვა ისეთ ნაწილებში, როგორიცაა ანგოლა, მოზამბიკი, გვინეა (ბისაუ), კვლავ ვლინდება კოლონიალიზმისა და ექსპლოატაციის ყველაზე საზიზღარი ფორმები.

დასასრულ ბუმედიენმა მოუწოდა აფრიკის ქვეყნებს გააერთიანონ ღონისძიებანი აფრიკის კონტინენტის საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ საბრძოლველად „ძლიერი და ეფექტიანი ორგანიზაციის ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს გამარჯვებას აფრიკელი ადამიანის და მთელი კაცობრიობის, რომლის ნაწილიც ის არის, ღირსებისათვის ბრძოლაში“.

**ალჟირი,** 6 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს კონფერენციაზე დელეგაციების მეთაურთა დახურული თათბირის შემდეგ გაიხსნა პლენარული სხდომა.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ალჟირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ბუტეფლიკამ, რომელიც მიმდინარე სესიის ბიუროს თავმჯდომარედ აირჩიეს.

ბუტეფლიკამ აღნიშნა, რომ იმპერიალიზმი სულ უფრო მეტად ეხსმის თავს აფრიკის ქვეყნებს და განაცხადა: „აფრიკას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავი დააღწიოს ყოველნაირ დამოკიდებულებასა და იძულებას, რათა გახდეს თავისი ბედის ბატონ-პატრონი. იგი არ მოითმენს ზეგავლენის ახალ ფორმებს, რომლებსაც მიმართავენ ხოლმე ყოველთვის, როგორც კი ის შეეცდება წამოსწიოს თავი. რათა დაიცვას თავისი ღირსება, დაიწყოს განვითარება, ან დაიცვას სუვერენიტეტი, თუ ტერიტორიული მთლიანობა“.

ბუტეფლიკამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაცია.

# მდგომარეობა ბრაზავილში

**ბრაზავილი,** 6 სექტემბერი. (საკდესი). კაპიტანმა ალფრედ რაულმა, რომელიც გუშინ რადიოთი გამოვიდა, გამოაცხადა, რომ ასრულებს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს.

გადაწყვეტილება ამ პოსტზე რაულის დანიშვნის შესახებ რევოლუციის ეროვნულმა საბჭომ მიიღო მას შემდეგ, რაც გადადგა ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ალფონს მასამბა-დება.

რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში ალფრედ რაულმა განაცხადა, რომ მის მთავრობას მეგობრული ურთიერთობა ექნება მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან. ა. რაულმა გამოაცხადა მთავრობის შემადგენლობა და ამასთან აღნიშნა, რომ დაიკავებს აგრეთვე თავდაცვის მინისტრის პოსტს.

წინა კაბინეტიდან მთავრობის ახალ შემადგენლობაში არ არის მხოლოდ ლეიტენანტი პუანიე, რომელსაც ეკავა თავდაცვის მინისტრის პოსტი.

### მხოლოდ ფაქტები

□ **ჰანოი,** 5 სექტემბერი. (საკდესი). ლაოსის პატრიოტულმა შეიარაღებულმა ძალებმა 29 აგვისტოს ჩამოაგდეს ამერიკის ორი თვითმფრინავი, რომლებიც თავს დაესხნენ სამნეას პროვინციის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებს.

□ **ვაშინგტონი,** 5 სექტემბერი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები საიგონიდან იტყობინებიან, მარტო გასულ კვირაში სამხრეთ ვიეტნამში მწყობრიდან გამოიყვანეს 2.900-ზე მეტი ამერიკელი. ეს ყველაზე დიდი ზარალია ამ ბოლო სამ თვეში. სულ კი, სამხრეთ ვიეტნამში განლაგებული ამერიკის სარდლობის მონაცემებით, რომლებიც, როგორც ჩვეულებრივ შემცირებულია, ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ აგრესიის შედეგად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაკარგა 200 ათასი კაცი დახოცილი, დაჭრილი და უგზოუკვლოდ დაკარგული.

□ **ტოკიო,** 6 სექტემბერი. (საკდესი). იაპონიაში სულ უფრო ვრცელდება ენცეფალიტის ეპიდემია. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებით, კიდევ ერთი პრეფექტურა — გიფუ გამოაცხადეს ენცეფალიტის ვირუსით მოწამლულ ზონად. დღეისათვის ამ დაავადებით მოწამლულია 34 პრეფექტურა. (სულ იაპონიაში 46 პრეფექტურაა). სამინისტროს მონაცემებით, ფართო პროფილაქტიკურ ღონისძიებათა მიუხედავად 2 სექტემბრისათვის ენცეფალიტით დაიღუპა უკვე 110 კაცი.

# სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

**პრაღა,** 5 სექტემბერი. (საკდესი). როგორც პრაღის რადიო იუწყება, დღეს დილით ბრატისლავაში გაიხსნა სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მოხსენება — სლოვაკიის თანამედროვე მდგომარეობა და პარტიის ამოცანები — პლენუმზე გააკეთა სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჰ. გუსაკმა.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. პავლენდას მოხსენება, რომელიც მიეძღვნა ჩეხოსლოვაკიის ფედერალიზაციის პრობლემებს.

# ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

**პრაღა,** 5 სექტემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება პენ-კლუბისა და სხვა ანალოგიური ორგანიზაციების იმ შეკითხვებთან დაკავშირებით, თუ რა ბედი ეწია ჩეხოსლოვაკიის ზოგიერთ კულტურის მუშაკს. ამას იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ, როგორც გამოირკვა, კულტურის ეს მუშაკები ნორმალურად მუშაობენ და აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

# დროული დახმარება

**კარაკასი,** 6 სექტემბერი. (საკდესი). „ისინი, ვინც ჩეხოსლოვაკია ფაშიზმისაგან გაათავისუფლა, კვლავ ასრულებენ თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას“, — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ყოველკვირეულმა „ნუევა ვოს პოპულარმა“ რეპორტაჟი ჩეხოსლოვაკიის მდგომარეობის შესახებ. ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერს დაწყებული ყოფილი გერმანელი ნაცისტებით და დამთავრებული ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებით, — ნათქვამია რეპორტაჟში, სწორედ იმ მომენტში წაუსწრეს, როცა ემზადებოდნენ ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმის განადგურებისათვის. მაგრამ კონტრრევოლუციონერთა იმედები ჩაიშალა.

ყოველკვირეული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა ქვეყნების დროულმა დახმარებამ გადაარჩინა სოციალისტური წყობილება ჩეხოსლოვაკიაში.

# საბჭოთა მსახიობების წარმატება

**ბამაკო,** 5 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს მალის დედაქალაქში დიდი წარმატებით ჩაიარა საბჭოთა ესტრადის მსახიობების პირველმა კონცერტმა. პარტიის ეროვნული სახლის დიდი დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. კონცერტზე მოვიდნენ მალის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, მალის რესპუბლიკაში მომუშავე საბჭოთა სპეციალისტები. პრემიერას დაესწრნენ პრეზიდენტი მოდიბო კეიტა და მისი მეუღლე.

პროგრამის ყოველ ნომერს მაყურებლები მქუხარე ტაშით ხვდებოდნენ. განსაკუთრებით დიდი წარმატება ჰქონდათ რუსეთის სფსრ დამსახურებულ არტისტს ალექსანდრე როზუმს, უზბეკ მსახიობებს ნასირ კასიმოვსა და დილბარ ფაიაზოვას და პლასტიკური ეტიუდის შემსრულებელს თამარ სპირინას.

კონცერტის დამთავრების შემდეგ პრეზიდენტმა მოდიბო კეიტამ მადლობის ნიშნად საბჭოთა მსახიობებს თაიგულები მიართვა.

მალიში გასტროლების დამთავრების შემდეგ საბჭოთა მსახიობები 18 სექტემბერს გაემგზავრებიან ნიგერში.

### პრეზიდენტ აშ-შააბის დეკრეტი

**ადენი,** 5 სექტემბერი. (საკდესი). სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა კაპტან აშ-შააბიმ გამოაქვეყნა დეკრეტი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეებისა და წიაღისეულის შესახებ. დეკრეტის თანახმად, რესპუბლიკის წიაღისა და წყლების მთელი რესურსები ამიერიდან სახელმწიფოს საკუთრება ხდება. სასარგებლო წიაღისეულის დაზვერვა და მისი მოპოვება იქნება ეკონომიკის, ვაჭრობისა და დაგეგმვის სამინისტროს გამგებლობაში. სამინისტრო გასცემს ხოლმე ლიცენზიებს ან იჯარით გადასცემს ნაკვეთებს ცალკეულ მოქალაქეებსა და დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

### მხეცობა გრძელდება

**ნიუ-იორკი,** 5 სექტემბერი. (საკდესი). მას შემდეგ, რაც პოლიცია სასტიკად გაუსწორდა დემონსტრანტებს ჩიკაგოში, პოლიციის მორიგი თვითნებობის ადგილი გახდა ნიუ-იორკის რაიონი — ბრუკლინი. გუშინ 200-მდე პოლიციელი დაესხა თავს ზანგთა ჯგუფს ბრუკლინის სასამართლოს შენობასთან. ზანგები სასამართლოში მიდიოდნენ რათა დასწრებოდნენ თავიანთი სამი ამხანაგის სასამართლოს, რომლებიც ამას წინათ დააპატიმრეს გეტოში მომხდარი შეტაკების დროს.

### კლიფორდის განცხადება

**ვაშინგტონი,** 6 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა კლარკ კლიფორდმა გუშინ პრესის ეროვნულ კლუბში განაცხადა, რომ პენტაგონი აპირებს 300 ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი დატოვოს დასავლეთ ევროპაში. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრმა აღიარა, ამერიკელებს ამ ჯარების შენახვა ფრიად ძვირი უჯდებათო, მაინც იმ აზრს იცავდა, რომ აუცილებელია „ამერიკის შეერთებული შტატების ესოდენ დიდი სამხედრო წვლილი ნატოში“ და მოუწოდა ჩრდილოეთ-ატლანტიკის ბლოკის წევრებს გააფართოონ თავიანთი შეიარაღებული ძალები.

### ფოტოობიექტივში ლონდონი






ევროპის უდიდესი ქალაქი ლონდონი — დიდი ბრიტანეთის საფინანსო და სავაჭრო ცენტრი გამოცდილ ტურისტსაც კი დაახვევს თავბრუს. დაუსრულებელ ნაკადად მიედინებიან მანქანები, რომლებიც უჩვეულოდ მოძრაობენ ქუჩის მარცხენა მხარეს, ვიტრინები გადატვირთულია განცხადებებით, მყვირალა რეკლამით.

მაგრამ ტურისტმა ერთი თვალის გადავლებითაც არ შეიძლება არ შეამჩნიოს ქალაქში კაპიტალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. უმუშევრობა, მოსახლეობის ბევრი ფენის გაჭირვება ამ სახელმწიფოს მუდმივი თანამგზავრია. ამას წინათ აქ მიმდინარეობდა რკინიგზელთა გაფიცვა. გაფიცული მუშები ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ. მეტი წილი რკინიგზელები ხომ კვირაში მხოლოდ 11-18 გირვანქა სტერლინგს იღებენ. ამ თანხის ნახევარი მრავალ გადასახადსა და ბინის ქირას მიაქვს. ხოლო გირვანქა სტერლინგის კურსის დაცემით ამ ქვეყნის მცხოვრებთ კიდევ უფრო გაუჭირდათ.

ლონდონის ქუჩებში დაინახავთ ჭაბუკებს, რომლებსაც გულზე ჰკიდიათ პლაკატები „მე სტუდენტი ვარ, სწავლისათვის ფული არ მყოფნის, გთხოვთ დამეხმაროთ!“. მართლაც ინგლისის უნივერსიტეტებში სწავლა იოლი როდია. სწავლისათვის სტუდენტმა წელიწადში უნდა გადაიხადოს 600 გირვანქამდე სტერლინგი, ეს კი უზარმაზარი თანხაა. შესაძლოა, შემთხვევითი არ იყოს ამ ქვეყანაში ასე ბევრი ჰიპი. ეს ახალგაზრდა ნიჰილისტები უარს ამბობენ იცხოვრონ იმ საზოგადოების ნორმების თანახმად, რომელსაც მართავს გამდიდრების წყურვილი, თვალთმაქცობა და უსამართლობა.



**სურათებზე:** ზემოთ მარცხნივ — ქალაქის ქუჩებში; ზემოთ მარჯვნივ — ცოცხალი რეკლამა. ეს ახალგაზრდა დაატარებს სარეკლამო ფარებს და ამით შოულობს ცხოვრების სახსარს; ქვემოთ — უმუშევარი მხატვარი.

**ფოტო მ. ბარანაუსკასისა,**
(საკდესის ფოტოქრონიკა).

### ჩინეთი

# პეკინის ამბები

ჩვეულებრივ ჩინეთში, ისევე როგორც მეტ წილ სხვა ქვეყნებში, სასწავლო წელი 1 სექტემბერს იწყებოდა. მაგრამ აი უკვე მესამე წელია, რაც ჩინეთის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებს იყენებენ არა ახალგაზრდობის სწავლებისათვის, არამედ მიტინგებისა და სამხედრო მომზადებისათვის. ხუნვეიბინთა რაზმებში გაერთიანებული ახალგაზრდობა, როგორც ვიცით, კი არ სწავლობს, არამედ უფრო ხშირად ანადგურებს ჩინელი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას, ასრულებს რა თავისი ერთადერთი მასწავლებლის მაო ძე-დუნის დარიგებებს.

სექტემბრის დამდეგს პეკინის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა „მაოს უახლესი მითითება“. როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ამ მითითების შესასრულებლად „მაო ძე-დუნის იდეების პროპაგანდის რაზმებმა დაიკავეს სასწავლებლები“. ეს რაზმები შექმნილია სამხედროებისა და განსაკუთრებით სანდო პირებისაგან, რომლებმაც დაამთავრეს „მაოს ნაწარმოებთა შემსწავლელი კურსები“. როგორც პეკინის გაზეთები წერენ, ეს რაზმები „დიდხანს ერთად უნდა დარჩნენ სასწავლებლებში და მუდამ უხელმძღვანელონ მათ“.

მოზარდი თაობის სწავლების საქმე არც სოფლად არის უკეთ. გაზეთმა „ჟენმინ ჟიბაომ“ გამოაქვეყნა დირექტივები, რომელთა თანახმად სწავლების პროცესს სოფლის სკოლებში ამიერიდან „უნდა უხელმძღვანელონ ღატაკებმა და ღარიბმა საშუალო გლეხებმა“. გაზეთი სწორედ ასე წერს: „ღატაკებმა და ღარიბმა საშუალო გლეხებმა უნდა წაიკითხონ ლექციები და გადასცენ გაკვეთილები მოსწავლეებს“. საწარმოო ბრიგადებს სოფლებში ევალებათ „მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროგრამებისა და სხვა სასკოლო მასალების შედგენაში“.

ასეთი დირექტივების დემაგოგიური ხასიათი განმარტებას არ საჭიროებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩინელი გლეხების დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ უწიგნურია. ოდესღაც მაო ძე-დუნი აცხადებდა, რომ ჩინეთში უწიგნურობა ლიკვიდირებული უნდა ყოფილიყო 1962 წლისათვის. შემდეგ ვადებს აგრძელებდნენ, ახლა კი მთლად დაავიწყდათ ეს დაპირებანი.

ჩინეთის გაზეთები იუწყებიან, რომ მაო ძე-დუნის იდეების დამნერგავი ბრიგადები გაგზავნეს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და დაწესებულებებში, გაზეთების რედაქციებში.

შეტევა მეცნიერულ და კულტურულ კადრებზე წარმოებს ლოზუნგით „დავიკავოთ ინტელიგენციის ყველა დიდი და პატარა სამფლობელო“. ეს მოვლენა ახალი როდია. მთელი „კულტურული რევოლუციის“ მანძილზე ჩინეთის ინტელიგენციას სასტიკად სდევნიან. და თუ ორ წელზე მეტი ხნის შემდეგ მაოისტებმა გააჩაღეს კიდევ ერთი ასეთი კამპანია, ეს მხოლოდ მოწმობს ყბადაღებული „კულტურული რევოლუციის“ მარცხს. ჟურნალი „ხუნცი“ ტყუილად როდი იყო იძულებული აღენიშნა, რომ „კულტურისა და განათლების დარგში მაოს იდეებმა ჯერ კიდევ ვერ დაიკავეს ყველა პოზიცია“.

ქვეყნის შიგნით და საგარეო პოლიტიკაში თავისი მარცხის დაფარვას მაო ძე-დუნის ჯგუფი, ისევე როგორც წინათ, ცდილობს ანტისაბჭოთა კამპანიის დახმარებით. ამ დღეებში პეკინი მოიცვა მორიგმა ანტისაბჭოთა ისტერიამ. სინხუას სააგენტო, გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“ და ჩინეთის სხვა ორგანოები არა თუ არ ჩამორჩებიან ზოგჯერ აჭარბებენ კიდეც იმპერიალისტურ პროპაგანდას და გააფთრებით ესხმიან თავს საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, რომლებიც დაეხმარნენ ჩეხოსლოვაკიის მოძმე ხალხს.

მოვლენათა ბურჟუაზიულ ფალსიფიკატორებთან ერთად ისინიც აშკარად იცავენ ჩეხოსლოვაკიის ანტისოციალისტურ ძალებს. ჟოუ ენ ლაიმ ამ ბოლო დღეებში უკვე ორჯერ წარმოთქვა სიტყვა, რომლებშიც გოდებდა ჩეხოსლოვაკიის კონტრრევოლუციის დამარცხების გამო. პეკინელ ხელმძღვანელებს იმედები გაუცრუვდათ და შეწუხებული არიან იმით, რომ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები ხელს უწყობენ მდგომარეობის ნორმალიზაციას და ჩეხოსლოვაკიის მთელი სოციალისტური ძალების კონსოლიდაციას.

(საკდესი, 5 სექტემბერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# და ჩემს შემდგომად, მოძმესა ჩემსა...

ბესარიონ ჟღენტი

ქართველი ხალხი ზეიმობს თავისი დიდი ეროვნული პოეტის, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავს. საბჭოთა კულტურის ეს ნათელი დღესასწაული, რომელსაც მხურვალედ ეხმაურებიან ჩვენი სამშობლოს მოძმე ხალხები, ცხოველ გამოძახილს პოულობს უცხოეთის ქვეყნების პროგრესული საზოგადოებრიობის წრეებშიც, რადგან ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი პოეტური მემკვიდრეობა უეჭველად მიეკუთვნება მრავალეროვანი საბჭოთა ხალხისა და მთელი ცივილიზებული კაცობრიობის საუკეთესო სულიერ ღირებულებათა საგანძურს.

ნ. ბარათაშვილი იყო მოწინავე შვილი იმ მღელვარე ეპოქისა, რომელმაც მისცა მსოფლიოს გოეთე და შილერი, ბაირონი და შელი, პუშკინი და ლერმონტოვი, მიცკევიჩი და შევჩენკო. ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის ნათელი იდეალები, თავისუფლებისმოყვარეობის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ამაღლებული გრძნობები, სამყაროს განახლებისადმი, ადამიანის პიროვნების, მისი აზრებისა და გრძნობების განთავისუფლებისადმი დაუცხრომელი მისწრაფება. პოეტური აზროვნების სიღრმე და მხატვრული ფორმის სრულყოფილობა ანათესავებს დიდ ქართველ პოეტს — რომანტიკოსს მსოფლიო პოეტური კულტურის ამ ტიტანებთან.

ნ. ბარათაშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ნიკოლოზ პირველის რეაქციის ბნელ და სუსხიან ხანაში, რომლის სულისშემხუთველ ატმოსფეროში დაიღუპნენ პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, ჩაადაევი და რუსი ხალხის, რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სხვა ხალხების საუკეთესო ადამიანები.

თავისი სასტიკი კოლონიზატორული პოლიტიკით გატაცებული მეფის თვითმპყრობელობა დაუნდობლად სდევნიდა თავისუფალი აზროვნების ყოველგვარ გამოვლინებას, ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფობის ყოველგვარ ნიშანთვისებას — მის ენას, კულტურას. ორმაგი მონობის — სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მარწუხებში მოქცეული ქართველი ხალხი თავისი ადამიანური ღირსებისა და უფლებების დათრგუნვას უპასუხებდა გლეხობის მრისხანე შეიარაღებული აჯანყებით, რომლებიც სისხლში იქნა ჩახშობილი. ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა, შთაგონებულმა რუსი დეკაბრისტების თავგანწირული გმირობისა და პოლონეთის 1830 წლის აჯანყების მაგალითით, 1832 წელს მოაწყო მთავრობის საწინააღმდეგო ფარული შეთქმულება, რომელშიც მონაწილეობდა მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ეს პატრიოტული შეთქმულება მოღალატურად იქნა გაცემული და მისი ყველა მონაწილე სასტიკად დაისაჯა მეფის სატრაპების მიერ.

ნ. ბარათაშვილი ნათესაური თუ მეგობრული ურთიერთობით იყო დაკავშირებული 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებთან. ამ შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, ამ დროის უდიდესი პოეტი გრიგოლ ორბელიანი ბიძა იყო ნიკოლოზისა და მისი სულიერი აღმზრდელი, ხოლო ნიკოლოზის უსაყვარლესი მასწავლებელი, მწერალი და ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი შეთქმულების იდეოლოგი იყო, რომელსაც ყველაზე რადიკალური, რესპუბლიკური პოზიცია ეჭირა და ყველაზე სასტიკადაც დაისაჯა შეთქმულების მონაწილეთა შორის.

შეუძლებელია ჭაბუკ პოეტს (მაშინ იგი 15 წლისა იყო) მწვავედ არ განეცადა შეთქმულთა კეთილშობილური იდეების მარცხი და მათი სამშობლოდან განდევნა. ახალგაზრდა პოეტი მეგობრობდა საქართველოში გადმოსახლებულ რუს დეკაბრისტებთან და პოლონეთის აჯანყების მონაწილეებთან, იგი იზრდებოდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის იმ წრეში, რომელიც ღრმად იყო სულიერად დაკავშირებული გრიბოედოვთან, პუშკინთან, ლერმონტოვთან და მძლავრად განიცდიდა გოეთეს, ბაირონისა და მიცკევიჩის შემოქმედებითი იდეების კეთილმყოფელ გავლენას.

ამ გარემოებებმა განსაზღვრეს პოეტის სულიერი სამყაროს თავისებურებანი, მისი სოციალური შეხედულებანი და ესთეტიკური მრწამსი. ასეთ ნიადაგზე წარმოიშვა მისი მეამბოხე სულისკვეთება, შეურიგებელი კონფლიქტი თავისი თანამედროვე საზოგადოებრივ სინამდვილისადმი, სოციალური გარემოცვისადმი.

გიმნაზიის კურსის წარჩინებულად დამთავრებისთანავე მაღალსაკაცობრიო იდეალებით შთაგონებული და იშვიათი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული 18 წლის ჭაბუკი იძულებული გახდა სამსახური დაეწყო მეფის ბიუროკრატიულ აპარატში, რათა ნივთიერი დახმარება გაეწია გაღარიბებული ოჯახისათვის. **„დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განვწესდი სამსახურში და დავუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედს, თუმცა ხანდახან ჯავრით დავეპაერებ მასთან შებმას. ან ჩემი ბედი, ან ჩემი სურვილის აღსრულება“** — გულისტკივილით შესჩიოდა პოეტი თავის სახელოვან ბიძას გრიგოლ ორბელიანს. თითქმის 10 წელიწადი გაატარა დიადი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის მოწოდებულმა ახალგაზრდამ საძულველი ცარისტული კანცელარიის სულისშემხუთველ ატმოსფეროში, წვრილი მოხელის დამამცირებელ მდგომარეობაში, უსულგულო და გონებაგამოფიტულ ჩინოვნიკთა წრეში.

ეს იყო აუტანელი სულიერი ტკივილებისა და წამების წლები — ულრმესი უფსკრული პოეტის კეთილშობილურ იდეალებსა და რეალურ მდგომარეობას შორის. **„ახლა მე იმას ვამბობ,** — სწერდა პოეტი გრიგოლ ორბელიანს, — **რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მიუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელი მდგომარეობისათვის დაბადებული! ნუ გძინავს! მე არა მძინავს. მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა!“.** ასეთი კაცი არ აღმოჩნდა და გენიალური პოეტის ცხოვრება მიმდინარეობდა „სამართლისა და განჩინების ექსპედიციის“ ვიწრო მომაბეზრებელ, სულისშემხუთველ „ღრე-კლდეში“. ამას დაემატა სასტიკი მარცხი, რომელიც პოეტმა განიცადა პირადი სამიჯნურო ურთიერთობის სფეროში. პოეტს მგზნებარე, სპეტაკი და წრფელი სიყვარულით უყვარდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ეკატერინე, რომელიც გარეგნული მშვენიერებით, სულიერი უმწიკვლობით, მაღალი გემოვნებით, ჭკუით, განათლებით გამოირჩეოდა. ეკატერინე დიდად აფასებდა ნ. ბარათაშვილის პოეტურ ნიჭს და, როგორც ჩანს, თანაგრძნობითაც უპასუხებდა მისდამი ჭაბუკის მგზნებარე სიყვარულს. სწორედ ამ იშვიათი ადამიანური ღირსებებით შემკულ ქალიშვილს მიუძღვნა პოეტმა თავისი სატრფიალო ლირიკის შედევრები.

ეკატერინესადმი სიყვარული შეადგენდა პოეტის ერთადერთ ნეტარებას და ბედნიერებას მის მძიმე და გაუხარელ პირად ცხოვრებაში. და სწორედ აქ განიცადა პოეტმა საშინელი მარცხი, ბედის ულმობელი დაცინვა. ცივი ანგარიშით ეკატერინე მშობლებმა ცოლად შერთეს სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს. ეს გარემოება პოეტმა განიცადა, როგორც ღალატი, როგორც თავზარდამცემი მარცხი.

ასე გაერთიანდა პოეტის სულიერ სამყაროში, ბნელი, მრისხანე საზოგადოებრივი ვითარებით წარმოშობილი უკმაყოფილების გრძნობა და პირად ცხოვრებაში მიზანმიუღწევლობით, ყველა ოცნებისა და მისწრაფების განუხორციელებლობით გამოწვეული მწვავე ტკივილის განცდა. პოეტის პირადი მიმოწერა აღსავსეა გულმოკლული ჩივილით გაუხარელ ხვედრზე, სულიერ მარტოობასა და ობლობაზე, იმაზე, რომ ამ ვრცელსა და სავსე ქვეყანაში, სადაც მშობლებიცა ჰყავს, დებიც, ნათესავებიც და მეგობრებიც, იგი მაინც მარტოობისა და ობლობის განუკურნებელი სენით არის შეპყრობილი, რის გამო სიცოცხლე მოსძულებია.

პოეტი მზად არის გაექცეს კიდეც ადამიანთა საზოგადოებას და სადმე, ბუნების წიაღში ეძიოს თავშესაფარი თავისი აღშფოთებული სულისკვეთებისათვის. ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში პოეტი ამბობს: **„ჩვენი არსებობის მიზნის მიუღწევლობამ, ადამიანთა სურვილის უსაზღვროებამ და უთვალავი ამქვეყნიურის ამაოებამ საოცარი სიცალიერით აღავსეს ჩემი სული. მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, იმწამსვე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმაძღრობით, და დამშვიდებული და დახვეწებული გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში, რომელიც ასე დიდებული და წარმტაცია ჩვენს სამშობლოში...“** მაგრამ ეს რომანტიკული გატაცებაც ფუჭი და უშედეგო იყო. პოეტს არა ჰქონდა არავითარი დამოუკიდებელი მდგომარეობა, იგი მეტად მჭიდრო და მყარი კავშირურთიერთობით იყო გადაჯაჭვული ოჯახთან, ნათესაობასთან, მეგობართა წრესთან, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ყოველივე ამის დარღვევა და მთელი ამ გარემოცვისაგან გამოთიშვა. მთავარი კი ის იყო, რომ პოეტს სწამდა, რომ მართალია აუტანლად მანკიერი, მახინჯი და უსამართლოა ცხოვრება, სინამდვილე, ეს „სოფელი ცრუ და მუხთალი“.

**მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, — შვილნი სოფლისა,**
**უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.**
**არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,**
**იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.**

და პოეტი იშვიათი სიმტკიცით და უდრეკი ნებისყოფით უსმენდა მშობლის, ე. ი. სამშობლოს, ხალხის მოწოდებას, სწვდებოდა მისი სასიცოცხლო ინტერესების სიღრმეს და თავგანწირულად ემსახურებოდა ქვეყანას არა მარტო თავისი მაღალი პოეტური შემოქმედებით, არამედ მრავალმხრივი პატრიოტული საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც.

იმ დროისათვის, როცა ნ. ბარათაშვილმა მოწაფეობის ხანა დაასრულა და ფეხი შედგა შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე, საქართველოს საუკეთესო ადამიანები, მისი გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები; ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე და სხვები, ყველანი, ვინც მოაზროვნე და შემოქმედ საქართველოს შეადგენდნენ, განდევნილი იყვნენ სამშობლოდან და შორეულ გადასახლებაში იხდიდნენ სასტიკ სასჯელს 1832 წლის პატრიოტულ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. თვითმპყრობელობის სატრაპებმა დახურეს ქართული პრესის ორგანოები, გააუქმეს ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვა, აკრძალეს ყოველგვარი კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულების საქმიანობა.

ასეთ საბედისწერო ვითარებაში ნიკოლოზ ბარათაშვილმა გარს შემოიკრიბა ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენციის ვიწრო წრე, რომელმაც გაბედულად და უშიშრად მიიღო სოციალური ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისათვის, სამშობლოს განთავისუფლებისათვის, ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის ბრძოლის ესტაფეტა. ეს წრე, რომელშიც ნ. ბარათაშვილს გარდა შედიოდნენ გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ რჩეულიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი და სხვები, გაერთიანებული იყო 1832 წლის შეთქმულების ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიის ნიადაგზე და მიზნად ისახავდა ახალ ვითარებაში აღეორძინებინა და განევრძო თავისი უფროსი თანამედროვეების სახელოვანი პლეადის საბრძოლო საქმე.

მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისა და განვითარებისათვის ახალი გზების ძიებისა და ამ მიმართულებით გაწეული დიდი მუშაობის გარდა ნ. ბარათაშვილის მეგობართა ლიტერატურულ წრეში აღმოცენდა იდეა და გაიშალა საქმიანობა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მეცნიერულად შესწავლისა და გაშუქებისათვის, ეროვნული ბიბლიოთეკის შექმნისათვის, ქართული თეატრის აღდგენისათვის, პერიოდული ლიტერატურული ჟურნალის დაარსებისათვის.

**„ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარულთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურისგან, მყუდროებაში და მარტოობაში, შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებით ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩინებს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით** — სწერდა ნ. ბარათაშვილი გრიგოლ ორბელიანს.

მაგრამ ყველაფერზე ძვირფასი და დიადი, რის გაკეთებაც ნ. ბარათაშვილმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მოასწრო, რაც მან მიუძღვნა სამშობლოს, მომავალ თაობებსა და კაცობრიობას, — ეს არის მისი გენიალური პოეტური შემოქმედება, რომელშიც განსახიერება ჰპოვა ეპოქის ყველაზე პროგრესულმა სოციალურმა და ფილოსოფიურმა იდეებმა, საუკუნის მოწინავე ადამიანთა ყველაზე ამაღლებულმა აზრებმა და გრძნობებმა.

თავისი პოეტური შემოქმედებით ნ. ბარათაშვილმა სათავე დაუდო ახალ ეპოქას ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. იგი არის ფუძემდებელი ახალი ქართული ლიტერატურისა, უშუალო წინაპარი და წინამორბედი ქართული კლასიკური რეალიზმის კორიფეებისა და ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის მესვეურების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველასი.

ნ. ბარათაშვილის სიდიადე და უპირველესი დამსახურება მშობლიური მწერლობის წინაშე, მისი განუზომელი ნოვატორული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ახალი გზები დაუსახა ქართული პოეტური კულტურის განვითარებას, გარდაქმნა და განაახლა ქართული ლექსი, არა მარტო ახალი იდეების, აზრებისა და გრძნობების ახალი სამყაროთი გაამდიდრა იგი, არამედ დაამკვიდრა კიდეც პოეტური აზროვნებისა და მეტყველების ახალი პრინციპები.

ნ. ბარათაშვილის ლექსი, რომელიც აღმოცენებულია ცხოვრებისეულ მოვლენებზე პოეტის ღრმა დაფიქრების შედეგად და გამსჭვალულია ღრმა და გამძაფრებული აზროვნებით, თავისუფალია ყოველგვარი მსჯელობითობისა და ცივი გონებისმიერი მჭვრეტელობისაგან. დაუცხრომელი გულის ძგერით, მთრთოლვარე, დაძაბული მგრძნობელობით არის გამთბარი ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკა. მისი პოეტური სიტყვა გვხიბლავს სიწრფელით და უშუალობით, მიუხედავად მხატვრული ასოციაციებისა და მეტაფორული აზროვნების სირთულისა. ზოგჯერ მთელი ლექსი წარმოადგენს ერთს მთლიან, განვრცობილ მეტაფორას, რომელშიც ღრმა სოციალური და ფილოსოფიური მნიშვნელობის აზრია განსახიერებული. ნ. ბარათაშვილის ასეთი თავისებური მეტაფორული ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ, მაგალითად, მისი „მერანი“ და „ვპოვე ტაძარი“, რომლებშიც პოეტური მედიტაცია ორგანულად არის შერწყმული მღელვარე გრძნობათა ფეთქვასთან. სწორედ ეს განუყოფელი ერთიანობა პოეტური სიბრძნისა, რთული მხატვრული მეტყველებისა გრძნობათა და განცდათა სიწრფელესა და უშუალობასთან ანიჭებს ნ. ბარათაშვილის ლექსს იშვიათ მომხიბვლელობას და მიმზიდველობას, ემოციური ზემოქმედების სწორუპოვარ ძალას.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ქართულმა პოეტურმა ხელოვნებამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ პოეზიის მაღალი ხალხურობის მიმართულებით. ამ სფეროში პოეტის მიერ მიღწეული ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის სიახლენი და თავისებურებანი, ჯერ კიდევ მოელიან ღრმა და ყოველმხრივ შესწავლასა და გაშუქებას სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ ყველაფერზე უფრო ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი, რითაც ნ. ბარათაშვილმა გაამდიდრა ქართული პოეზია — ეს არის აზრებისა და გრძნობების ის დიდი სამყარო, ის ახალი მსოფლშეგრძნობა და მსოფლმხედველობა, ის ახალი იდეური შინაარსი, რომლის მეოხებითაც პოეტმა თავის შემოქმედებას ნამდვილი უნივერსალური ჟღერა მიანიჭა და ქართული პოეზია აამაღლა თავისი საუკუნის საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნებისა და ესთეტიკური კულტურის დონემდე.

მაგრამ ეს ზოგადკაცობრიული და უნივერსალური ნ. ბარათაშვილის პოეზიაში არასოდეს არ არის განყენებული და მოწყვეტილი მშობლიურ ნიადაგს, ხალხის ცხოვრების კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას, მის რეალურ სასიცოცხლო ინტერესებსა და მისწრაფებებს.




ეპოქის გმირის ასეთი მიზანსწრაფვის, მისი ასეთი სულიერი განწყობილების ყველაზე სრულყოფილ პოეტურ განსახიერებას წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის უკვდავი ქმნილება „მერანი“ — უდიდესი იდეური დატვირთულობისა და ემოციური ძლიერების ლექსი. „მერანის“ ლირიკული გმირი სიმბოლური განსახიერებაა ადამიანის მზადყოფნისა თავგანწირულად შეებრძოლოს უკუღმართ ბედს; მას არ ეშინია „შავი ყორნის“ საბედისწერო ჩხავილისა, რომელიც ცხოვრების ბნელ და ბოროტ საწყისებს განასახიერებს, იგი მზად არის გაბედულად გადალახოს „ბედის სამძღვარი“ და საკუთარი სიცოცხლის ფასად გზა გაუკაფოს შთამომავლობის ნათელი მერმისისაკენ.

**გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,**
**გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენლსა სავალნი დღენი!**
**ნუ შეეფარვი, ჩემო მერანო, ნურცა სიცხესა, ნურცა ავდარსა,**
**ნუ შეიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!**

„მერანის“ ლირიკული გმირის ეს ცეცხლოვანი სიტყვები, მიმართული თავისი დაუცხრომელი და უძლეველი ფრთოსანი ცხენისადმი, გაისმა, როგორც ქარიშხლიანი ყიჟინა, საგმირო მოწოდება, საბრძოლო დევიზი მთელი თაობისა, მთელი ხალხისა, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციური ბრძოლისათვის ირაზმებოდა.

„მერანი“ იყო დიდებული იდეურ-ესთეტიკური მანიფესტი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი იმდროინდელი მოწინავე საქართველოსი. ეს ლექსი უეჭველად მიეკუთვნება მსოფლიო პროგრესული რომანტიზმის საუკეთესო მონაპოვართა რიცხვს. საკაცობრიო პოეტურ გენიას არ შეუქმნია ლირიკული ნაწარმოები, რომელსაც ჩვენ არ შეგვეძლოს სრული რწმენით და სიამაყით გვერდით დავუყენოთ ქართული ლირიკული პოეზიის ეს დღემდე მიუწვდომელი და გადაულახველი მწვერვალი.

„მერანი“, როგორც ცნობილია, მოფიქრებული იყო პოეტის მიერ, როგორც მონოლოგი ახალგაზრდა ქართველი რაინდის ილია ორბელიანისა, რომელიც ტყვედ ჩაუვარდა შამილს და წარბშეუხრელი უშიშრობით შეეგება სასიკვდილო საფრთხეს. მაგრამ კონკრეტული ბიოგრაფიული ფაქტის ნიადაგზე აღმოცენებული ეს ნაწარმოები ყოველი ხალხისა და ყოველი დროისათვის ჟღერს აღმაფრთოვანებელ ჰიმნად, რომელიც უმღერის და ადიდებს გმირობისა და ვაჟკაცობის გრძნობებს, ადამიანის უდრეკ ნებისყოფას, მის უშიშარობასა და ქედუხრელობას მაღალი და ნათელი იდეალებისათვის ბრძოლაში.

ლეგენდარული მერანის მხედარი არ უფრთხის ბედის არავითარ მუქარას და მზად არის ყოველგვარი მსხვერპლისათვის.

**ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,**
**ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის:**
**შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,**
**და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მამაყრის.**
**სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ობოლსა დამეცვამიან ციურნი ცვარნი,**
**ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივაღაღებენ სვავნი მყივარნი!**
**გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,**
**თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!**

სად, რომელ სხვა პოეტურ ნაწარმოებში შეგვიძლია ამოვიკითხოთ ადამიანის გამბედაობის, მისი სულიერი შემართების და ვაჟკაცობის მადიდებელი ასეთი ცეცხლოვანი, აღგზნებული სტრიქონები! ჭეშმარიტად ამ ლექსში სრულყოფილად გამოითქვა გმირობისა და ვაჟკაცობის ის უკვდავი საგალობელი, რომელიც უხსოვარ საუკუნეებში აღუვლენია ქართველ ხალხს მისი ფანტაზიის მიერ შექმნილი ლეგენდარული ამირანის ტიტანურ სახეში და შემდეგ შთამაგონებლად უმღერია შოთა რუსთაველს თავის უკვდავ ეპიკურ ქმნილებაში.

ნ. ბარათაშვილმა უანდერძა შთამომავლობას, რომ ჭეშმარიტი გმირობა და ვაჟკაცობა ნათელი რწმენით და კეთილშობილური მაღალი იდეალით უნდა იყოს გასხივოსნებული.

**ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება,**
**და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება:**
**და ჩემს შემდგომად მოძმეს ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,**
**და შეუპოვრად მას მუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!**

ამ ლექსზე იზრდებოდა და იწრთობოდა ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის თავდადებულ მებრძოლთა თაობები. იშვიათად თუ ხვდომია წილად მსოფლიო ლირიკული პოეზიის სხვა რომელიმე ნაწარმოებს ასეთი როლი და მნიშვნელობა ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

ნ. ბარათაშვილის პოეზია მთლიანად არის გამსჭვალული ადამიანის ნათელი გონებისა და ამაღლებული სულის შეურიგებელი ორთაბრძოლით მანკიერ და მახინჯ, უსამართლობასა და ძალმომრეობაზე დამყარებულ სოციალურ სინამდვილესთან. აქედან წარმოდგება პოეტის მღელვარე უკმაყოფილება და გულისწყრომა ამ სინამდვილისადმი, მისი ტკივილი და სევდა, ამგვარ სინამდვილეში მარტოობისა და სულიერი ობლობის განცდა. სულიერი მარტოობა ყოველგვარ სხვა ობლობაზე უფრო მწვავეა, მტკივნეული და განუკურნებელია.

ჯერ კიდევ ოცი წლის ჭაბუკმა შესანიშნავ ქმნილებაში — „ფიქრნი მტკვრის პირას“ თავისი დროის ცხოვრება ფუჭ ამაოებად, აღუვსებელ საწყაულად აღიარა. სადაც ადამიანის ყოველი ოცნება და მისწრაფება განწირულია მიუღწევლობისა და განუხორციელებლობისათვის:

**არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება**
**რად იყო ფუჭი და მხოლოდ ამაოება!..**
**მაინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი**
**თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?**
**ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,**
**და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, იგი ეკმაროს?**

ასეთი უკმარობისა და მუდმივი დაუკმაყოფილებლობის განცდა წარმოშობს პოეტის მისწრაფებას მიწიერი სამყაროს მიღმა ეძიოს ხსნა თავისი მშფოთვარე და დაწყლულებული სულისა, მაგრამ ზეცა, როგორც მიწიერი ყოფიერება, ყრუ და გულქვაა ადამიანის სურვილთა და მისწრაფებათა მიმართ. ბედნიერება მხოლოდ წუთიერი, წარმავალი ილუზიაა ამ ქვეყნად. იდეალის მიუღწევლობის ეს აზრი, პოეტის მიერ საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით, პირადი მძიმე ხვედრით და სიჭაბუკეშივე მოხვეჭილი სიბრძნით მიკვლეული აზრია განსახიერებული ლექსში „ვპოვე ტაძარი“.

**ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი,**
**მუნ ენთო მარად უქრობელი წმინდა ლამპარი.**
**ანგელოსთაგან იკვროდა მუნ დავითის ქნარი,**
**და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!**

„კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით“ დაწყლულებულ გულს მოსჩვენებია, რომ სწორედ ამ ტაძარში შეუძლია მას დამშვიდება და განკურნება. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებაა.

**მაგრამ სანუთრო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?**
**განქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;**
**მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ახადარებს,**
**მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!**
**...ვერღა ამიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!**
**ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!**

ვარებით წყევლის და კრულავს ამ „ბოროტ სულს“, ულმობლად ამხილებს და განდევნის მას.

**წყეულიმც იყოს დღე იგი როს შენთა აღთქმათა**
**ბრმად მივენდობდი, ვუმსხვერპლიდი ჩემთ გულისთქმათა!**
**მას აქეთ არის დავუკარგე მშვიდობა სულსა,**
**და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!**
**განვედი ჩემგან, ჰოი მაცთურო, სულო ბოროტო!**
**რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო,**
**ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?**
**ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!**

„ბოროტი სულის“ — მეტაფორაში განსახიერებული მახინჯი და უკუღმართი სინამდვილისადმი შეურიგებლობასა და დაუმორჩილებლობაში მდგომარეობს ნ. ბარათაშვილის მებრძოლი ჰუმანიზმი, მისი რომანტიკული მსოფლშეგრძნების აქტიური ბუნება. ნ. ბარათაშვილის პოეზიის დიდი საზოგადოებრივი აქტუალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი აღაგზნებდა ადამიანთა აზრსა და გრძნობას სინამდვილის მანკიერებათა წინააღმდეგ საბრძოლველად და ამასთანავე ამხნევებდა და აწრთობდა მის ნებისყოფას უკეთესი მომავლის წინათგრძნობით. თავისი პირქუში თანამედროვეობიდან ნ. ბარათაშვილი მიელტვოდა ნათელ მომავალს, მზიური სხივებით გაბრწყინებულ ახალ ცხოვრებას.

**მწუხრი გულისა — სევდა გულისა — ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,**
**რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს.**

ამ მზიანი დილის გათენებას წინასწარმეტყველებდა და მიესწრაფვოდა პოეტი. როგორც შოთა რუსთაველმა საშუალო საუკუნეთა წყვდიადით მოცულ მსოფლიოს პირველმა უთხრა დიადი გამამხნევებელი სიტყვა, რომ ქაჯეთს დაამხობს სიყვარულისა და მეგობრობის მაღალი გრძნობებით შთაგონებული ადამიანი, რომ სიკეთე გაიმარჯვებს ბოროტებაზე, რომ ბოროტება წარმავალია, ხოლო კეთილის არსება — გრძელი და დაუსრულებელი, ისე ნ. ბარათაშვილმა გასული საუკუნის პირველი ნახევრის ბნელ და სუსხიან საზოგადოებრივ ვითარებაში პირველმა უთხრა ხალხს იმედით და რწმენით აღსავსე სიტყვა ნათელი გზის გარდუვალი ამობრწყინების შესახებ.

თვით პოეზიაც ნ. ბარათაშვილისათვის განსახიერებაა მზიური სინათლისა, რომელიც სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებს ადამიანებს, ბუნებას, მთელ სამყაროს. ადამიანის უმაღლეს იდეალად პოეტს სიკეთისა და სითბოს დაუსრულებელი გამოსხივება მიაჩნია.

**მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემს დღეთა გარსამოვავლო,**
**საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო;**
**მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,**
**რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყითა ფრინველნი და ვარდი.**

ნ. ბარათაშვილმა გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა ფილოსოფიური ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშებით, რომლებშიც ღრმად თავისებური გადაწყვეტა ჰპოვა მარადიული საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებმა სიკვდილ-სიცოცხლისა, ადამიანური ყოფიერების აზრისა, ადამიანის მოვალეობისა საზოგადოების, ხალხის წინაშე. ამ ლექსებში პოეტი გვევლინება პროგრესულ მოაზროვნედ, რომელიც თავისი საუკუნის ყველაზე მოწინავე სოციალური და ფილოსოფიური იდეების სიმაღლეზე იდგა და თავისი შემოქმედებით ამდიდრებდა და განავითარებდა ამ იდეათა სამყაროს.

ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკაც ადამიანის მაღალ ზნეობრივ იდეალებს, ადამიანის სულის გამასპეტაკებელ, გამამშვენიერებელ და გამაფაქიზებელ სიყვარულსა და სილამაზეს უმღერის.

**მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული,**
**რომლით ნათლდება ყოველ გრძნობა გული და სული,**
**და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,**
**რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?**
**თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,**
**მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.**
**მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა შობს სიყვარულსა**
**ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა!**

როგორც სხვა ყველაფერში, სიყვარულისა და მშვენიერების პრობლემათა პოეტურ გააზრებაშიც ნ. ბარათაშვილი გვევლინება რუსთაველის უპირველეს მემკვიდრედ, მისი დიადი ტრადიციის განმგრძობად, რომელმაც ამავე დროს უდიდესი ნოვატორული როლი შეასრულა მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში მისი „ევროპეიზაციის“ თვალსაზრისით. რუსული და ევროპული რომანტიზმის ტენდენციებთან მისი დაკავშირების თვალსაზრისით.

პეიზაჟური ლირიკის უჭკნობ ნიმუშებში ნ. ბარათაშვილი ესწრაფვის არა ბუნების გარეგნული სილამაზის გადმომცემი სურათების წარმოქმნას, არამედ ადამიანის სულიერი ცხოვრების იმ მოძრაობის გამოხატვას, რომლებიც ბუნებასთან შეხების შემთხვევებმა გამოიწვიეს. ბუნება არ არსებობს პოეტისათვის განცალკევებულად, ადამიანის გრძნობათა და განცდათა სამყაროსაგან გამოყოფილად და განყენებულად. ბუნება ნ. ბარათაშვილის პოეზიაში გაცოცხლებულია და გასულდგმულებული მღელვარე ადამიანური გრძნობებით, ვნებებით, განწყობილებებით.

ადამიანის სულიერი სამყაროს განუყოფელი შედუღება ბუნების განუსაზღვრელ წიაღთან სწორუპოვარი ძალით გადმოსცა ნ. ბარათაშვილმა ლექსში „ცისა ფერს“, რომელიც მსოფლიო რომანტიკული ლირიკის პირველხარისხოვან ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. ლექსში „ჩინარი“ კი პოეტის გამახვილებულმა სმენამ გამოიცნო და ამოიკითხა ბუნების ენა.

**მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკუთაც და უსულთ შორის**
**და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!**

პოეტის მახვილი აზრი ჩასწვდა ამ უცხოველესი ენის საიდუმლოს, გაშიფრა და ამოხსნა იგი ადამიანურ ურთიერთობათა მაღალი გრძნობების ენით. ამ მხრივაც ნ. ბარათაშვილი ეხმაურება მსოფლიო რომანტიკული პოეზიის ფილოსოფიურსა და ესთეტიკურ მიდრეკილებას. ნ. ბარათაშვილის პოეზიის ამ თვისებამ შემდგომ ორგანული განვითარება ჰპოვა გასული საუკუნის დასასრულს ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისტორიულ პოემას „ბედი ქართლისა“. ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით ამ ნაწარმოებთან დაკავშირებულია რეალისტური მიმართულების აღმოცენება მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში და დასაწყისი ქართული მწერლობისა და სალიტერატურო ენის განახლებისა მათი ფართო დემოკრატიზაციის აზრით. მაგრამ ამ პოემის დიდი ლიტერატურულ-საზოგადო-

კავშირებული საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთება რუსეთთან.

„ბედი ქართლისას“ მხოლოდ პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ ისტორიული პოემა, რამდენადაც მასში რეალური ისტორიული პიროვნებანი მოქმედებენ და სიუჟეტიც ისტორიულ მოვლენათა ქარგაზეა გაშლილი, პოემის მთელი პრობლემატიკა კი, მასში აღძრული და გადაწყვეტილი ღრმა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხები, უაღრესად აქტუალური და სადღეისოდ საჭირბოროტო იყო გასული საუკუნის 30-იანი წლების საქართველოსათვის, ე. ი. იმ დროისათვის, როცა ეს პოემა იწერებოდა.

პოემის ძირითად შინაარსს შეადგენს კამათი ერეკლე მეორესა და მის ერთგულ კანცლერს სოლომონ ლეონიძეს შორის საქართველოს ბედის შესახებ, რუსეთთან მისი ნებაყოფლობითი შეერთების საჭიროებისა და მიზანშეწონილების შესახებ.

გასული საუკუნის 30-იანი წლების დამდეგისათვის ჯერ კიდევ მეტად მწვავე და მოუშუშებელი იყო ის ტკივილები, რომლებიც მიაყენა ქართველ ხალხს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის დაკარგვამ, თვითმპყრობელური ტირანიის გაბატონებამ, ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ ქართველი გლეხობის აჯანყებათა სისხლში ჩახშობამ, 1832 წლის პატრიოტული შეთქმულების დამარცხებამ და მისი მონაწილე დიდი ქართველი მწერლების სამშობლოდან განდევნამ. მეორე მხრივ ამ დროისათვის უკვე სავსებით ნათელი და საგრძნობი იყო ყველა ის სიკეთე და ქართველი ხალხისათვის სასიცოცხლო კეთილმყოფელი შედეგები, რაც მოჰყვა რუსეთთან საქართველოს შეერთებას.

ახალი პოლიტიკური ვითარებისადმი სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას იჩენდა ქართველი საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ძალა: ფეოდალურ-პატრიარქალური არისტოკრატია ადვილად შეუთანხმდა თვითმპყრობელურ ბიუროკრატიას და იგი, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაჟანგებულ ბორკილზე ცვლიდა თავისი ქვეყნის თავისუფლებას“. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია კი იმაზე ოცნებობდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის მოემზადებინა და შთაეგონებინა ხალხი.

დიდი გონებრივი გამჭრიახობა, პოლიტიკური ალღო და შორსმჭვრეტელობა იყო საჭირო პოეტისათვის, რომ ასეთ რთულ, მძაფრი წინააღმდეგობებით აღსავსე ვითარებაში ფხიზლად და სწორად გაეაზრებინა ეპოქის უმთავრესი, ყველაზე მწვავე პოლიტიკური პრობლემა და პირუთვნელი შეფასება მიეცა ერეკლე მეორის მიერ გადადგმული ისტორიული ნაბიჯისათვის. სწორედ ამას მიაღწია „ბედი ქართლისას“ ავტორმა, რითაც იგი ერთბაშად ამაღლდა თავისი თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების დონეზე ზევით.

ერეკლე მეორესადმი განუზომელი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობა, მისი ბრძნული პოლიტიკური ორიენტაციის მაღალი შეფასება უფრო ნათლად ნ. ბარათაშვილმა გამოხატა ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“.

**მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,**
**და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე, მეფევ ხმოვანო!**
**ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება წმინდას აჩრდილსა,**
**რომ გარდმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშოს, შვილსა!**
**თაყვანს ვცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს,**
**გახსოვს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?**
**აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,**
**და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენი ძენი.**

ასეთი წრფელი მღელვარებით გამოთქვა და უანდერძა შთამომავლობას ჩვენმა დიდმა ეროვნულმა პოეტმა რუსეთთან, რუს ხალხთან მარადიული ძმობისა და მეგობრობის იდეა. მაგრამ ნ. ბარათაშვილი არასოდეს შერიგებია თვითმპყრობელობის ველურ კოლონიზატორულ პოლიტიკას.

როდესაც ნ. ბარათაშვილი ავთვისებიანი მალარიის გესლით მოშხამულ მიყრუებულ განჯაში, სრულ უპატრონობასა და მარტოობაში, აუტანელ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვა-წამებაში გარდაიცვალა, მაშინ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მხოლოდ ვიწრო წრეს ესმოდა, რომ მისი სახით საქართველომ დაკარგა საუკეთესო მამულიშვილი, სამშობლოს უპირველესი მშვენება და იმედი, „უზადო პოეტი“, რომელსაც სიყვარულით უწოდებდნენ „ქართველ ბაირონს“ თუ „ქართველ ლერმონტოვს“. ხალხი კი — ქართველი მშრომელი ხალხი ჯერ კიდევ არ იცნობდა თავის დიდ ეროვნულ პოეტს, თავისი წყლულებისა და ტკივილების, თავისი საუკეთესო ფიქრთა, ოცნებათა და მისწრაფებათა სწორუპოვარ გამომხატველს.

განვლო წლებმა, და ქართველი ხალხი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობის ხანაში, ამ მოძრაობის სახელოვანმა მედროშეებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ უდროოდ დაღუპული პოეტი თავის ღირსეულ წინაპრად და წინამორბედად აღიარეს და მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ხალხის ძვირფას კუთვნილებად აქციეს. როგორც საუკეთესო სულიერი საჭურველი ამ დიადს ბრძოლაში. ილია ჭავჭავაძემ პირველმა მისცა მაღალი შეფასება ნ. ბარათაშვილის პოეზიის დიადს ეროვნულ და საკაცობრიო მნიშვნელობას, აკაკი წერეთელმა იგი შოთა რუსთაველს შეადარა და მას დაუყენა გვერდით, ხოლო ვაჟა-ფშაველამ ნ. ბარათაშვილის სადიდებლად დაწერილ ლექსში იგი ქართლის ჭირის მოზიარედ აღიარა. ამიერიდან ნ. ბარათაშვილის პოეტურმა მემკვიდრეობამ სამარადისოდ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ჩვენს ქვეყანაში მძლავრად გაშლილი პროლეტარული მოძრაობის გარიჟრაჟზე ნ. ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან სამშობლოში გადმოასვენეს. ეს აქტი თვითმპყრობელური წყობილების საწინააღმდეგო მძლავრ სახალხო დემონსტრაციად იქცა.

ჩვენს საბჭოთა ეპოქაში ნ. ბარათაშვილს სამუდამო განსასვენებელი ერმა იმ მთაწმინდაზე მიუჩინა, რომელიც პირველად ნ. ბარათაშვილმა შემოსა უქრობი დიდების პოეტური შარავანდედით. ახლა დიდი პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობა თარგმნილია რუსულ ენაზე. ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხთა ენებზე და მთელ საბჭოეთში საყოველთაო აღიარებით და სიყვარულით სარგებლობს.

ნ. ბარათაშვილის პოეზიაში გამოხატული გმირობისა და ვაჟკაცობის სულისკვეთება, მეამბოხე უდრეკი სული, მებრძოლი ჰუმანიზმი და თავგანწირული მისწრაფება კაცობრიობის უკეთესი მომავლისაკენ ეთანხმოვანება საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს საუკეთესო თვისებებს და ცხოველ გამოძახილს პოულობს ხალხის გულში.

ნ. ბარათაშვილის პოეზია გვაღელვებს და გვაიარაღებს ჩვენ ყოველგვარი ბოროტისა, ბნელისა და მანკიერისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ახლაც მოგვიწოდებს და აღგვაფრთოვანებს ქვეყნად ყველაზე ჰუმანური, თავისუფალი და ნათელი ცხოვრების დამკვიდრებისათვის საბრძოლველად.

უეჭველია, რომ ნ. ბარათაშვილის ახლანდელი იუბილე დიდად შეუწყობს ხელს მისი პოეზიის კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებას და დიდი ქართველი პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობა საპატიო ადგილს მოიპოვებს ცივილიზებული კაცობრიობის საუკეთესო სულიერ ღირებულებათა საგანძურში.



# ჩვენს ქალაქ-სოფლებში

გვატყობინებენ „კომუნისტის“ და საქდესის კორესპონდენტები

# ექსკურსია ლენინურ ადგილებში

## ემღვნება დიად თარიღს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში, როცა სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, ქუთაისის მშრომელები აწყობენ შორეულ ექსკურსიებსა და მგზავრობებს დიდი ბელადის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებში.

ვოლგოგრადში, ილიჩის სამშობლო — ულიანოვსკსა და მოსკოვში იმოგზაურეს მე-12 საშუალო სკოლის პედაგოგებმა, ხოლო მოსკოვსა და ლენინგრადში — ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ № 6 სამმართველოს მშენებლებმა. ლენინურ ადგილებში ექსკურსია მოაწყეს აგრეთვე კომკავშირის საქალაქო კომიტეტის, მილიციის სამმართველოს, შემნახველი სალაროებისა და სხვა დაწესებულებათა მუშაკებმა.

## კონცერტი ველად

თიანეთი. (საკ. კორ.). მერძევეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებს საყდრიონის სასოფლო ბიბლიოთეკის აგიტმხატვრული ბრიგადა ეწვია, რომელმაც თავისი კონცერტი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნა.

კონცერტის დაწყებამდე ბიბლიოთეკის გამგემ ე. ოთარაშვილმა ილაპარაკა დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. კონცერტზე შესრულებულ იქნა სიმღერები, სკეტჩები, წაიკითხეს ლექსები.

## საჩუქრად მუზეუმს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ახალი ექსპონატებით მდიდრდება მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ზესტაფონის მკვიდრმა, ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა ვ. ჩინჩალაძემ მშობლიური ქალაქის მუზეუმს აჩუქა ჭედური ხელოვნების ნიმუშები „შოთა რუსთაველი“ და „ეთერ-ქალი“ (მხატვარი დ. ყიფშიძე), აგრეთვე მხატვარ ა. ჭანტურიას ფერწერული ტილო „ჩემი სოფელი“. საჩუქრების საერთო ღირებულება 6 ათას მანეთს აღემატება.

## ახალი ბიბლიოთეკა

შუახევი. (საკ. კორ.). შუახეველმა მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — სოფელში აშენდა ბიბლიოთეკის ახალი შენობა. ბიბლიოთეკას აქვს ფართო და ნათელი დარბაზი, სამუშაო ოთახები, წიგნთსაცავები.

ახალმა შენობამ კიდევ უფრო დაამშვენა რაიონული ცენტრი.

# მობრძანდით, გელით

## ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის ახალი სეზონი

დღეს, 7 სექტემბერს, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი ახალ სეზონს გახსნის. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა სთხოვა თეატრის დირექტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს აკაკი შანიძეს ჩვენი მკითხველებისათვის მოკლედ ეამბნა თეატრის ახალი სეზონის შესახებ.

მუსიკალური კომედიის თეატრი, — თქვა აკაკი შანიძემ, — ორმოცდამეორეჯერ ხსნის თეატრალურ სეზონს. დღეს, 7 სექტემბერს თეატრის სცენაზე წარმოდგენილ იქნება სპექტაკლი-კონცერტი „იცოცხლე მრავალჟამიერ“.

წელს თეატრის მაყურებელი თოთხმეტ სპექტაკლს ნახავს, მათ შორის კლასიკურ, თანამედროვე ეროვნულ, უცხოელ ავტორთა ნაწარმოებებს.

გარდა იმ 14 სპექტაკლისა, რომლებსაც ნახავს მაყურებელი წელს, განზრახული გვაქვს რამდენიმე პრემიერის ჩვენება. აღსანიშნავია, რომ კომპოზიტორებს ამჟამად თეატრთან უფრო მჭიდრო კავშირი აქვთ და შემოქმედებითი საკითხებიც ერთობლივი ძალებით წყდება, ეს კი უკეთესი შედეგის ანუ კარგი სპექტაკლების საწინდარია.

კომპოზიტორმა ს. ცინცაძემ დაამთავრა ოპერეტა „სიმღერა ტყეში“ ლ. პუბაბრიას ლიბრეტოს მიხედვით. პრემიერა თვის ბოლოს შედგება. სპექტაკლის რეჟისორია აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. აბაშიძე, დირიჟორი რ. ხურცილავა, ბალეტმაისტერი რ. წულუკიძე.

უმოკლეს ხანში დასი დაიწყებს მუშაობას კომპოზიტორ გაგა აზარაშვილის ოპერეტაზე „მეცხრე ტალღა“. ნაწარმოები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ამბებს ასახავს. აქვე მსურს აღვნიშნო, რომ სპექტაკლი მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროსა და კომპოზიტორთა კავშირის მიერ გამოცხადებულ საკავშირო კონკურსში, რომელიც ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება.

ათი წლის განმავლობაში თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმება შ. მილორავას „სიმღერა თბილისზე“, რომელიც დედაქალაქის 1.500 წლის ზეიმისათვის მომზადდა. რა თქმა უნდა, დრომ აუცილებელი კორექტივების შეტანა მოითხოვა. წელს მაყურებელი ოპერეტის ახალ დადგმას ნახავს.

„ბედნიერების მარგალიტი“ — ასე ეწოდება ბ. ტერენტიევის ოპერეტას, რომელიც ოსი ხალხის ცხოვრებას ასახავს.

ამერიკელი კომპოზიტორის კოლ პორტერის ოპერეტა „მაკოცე, ლამაზო“, რომელიც შექსპირის კომედიის „ჭირვეული ცოლის მორჯულების“ მოტივებზეა შექმნილი, მსოფლიოს საუკეთესო საოპერეტო თეატრებმა დადგეს.

დრამატურგ დ. გაჩეჩილაძის მიერ შესრულებულ ამ ოპერეტის ქართულ ვარიანტს ნახავს ჩვენი თეატრის მაყურებელი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებებისა, თეატრი მოკლე ხანში მიიღებს გ. ცაბაძისა და მ. თარხნიშვილის ოპერეტას „კურკას ქორწილს“ და ნ. გაბუნიას, ა. სამსონიასა და გ. ჟორდანიას „სოფლელ ბიჭს“.

ამჟამად ჩვენს შემოქმედებითს დასთან ახლოს არიან კომპოზიტორები გ. ცაბაძე, შ. მილორავა, ა. შავერზაშვილი, ს. ცინცაძე, ბ. კვერნაძე, ნ. გიგაური, შ. ჯოჯუა, ლ. იაშვილი, დრამატურგები ვ. ნახუცრიშვილი, დ. გაჩეჩილაძე, დ. თაქთაქიშვილი, ო. მამფორია, ო. რაზმაძე, მ. ბერაძე, რ. ლეჟავა და სხვანი.

წელს მუსიკალური კომედიის თეატრის შემოქმედებითი დასი შეივსო კონსერვატორიის, თეატრალური ინსტიტუტისა და ქორეოგრაფიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებით.

შევეცდებით კვლავაც სასიამოვნო, მაღალმხატვრული და საინტერესო სპექტაკლებით წარვდგეთ მაყურებლის წინაშე.

გელით სპექტაკლებზე!

# ანასტასია ვირსალაძე



ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული და ამაგდარი მუსიკოსი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პროფესორი ანასტასია დავითის ასული ვირსალაძე.

ა. ვირსალაძე პირველი ქართველი პიანისტი ქალი იყო, რომლის საშემსრულებლო ხელოვნებამ ფართო საზოგადოებრივი აღიარება ჰპოვა. მრავალი წლის მანძილზე იგი დიდი წარმატებით გამოდიოდა საკონცერტო ესტრადაზე. კიდევ უფრო დიდი სახელი მოიხვეჭა მან როგორც ახალგაზრდა პიანისტების შესანიშნავმა აღმზრდელმა, ქართული პიანისტური სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა.

ანასტასია დავითის ასული ვირსალაძე დაიბადა 1883 წელს ქუთაისში. პირველდაწყებითი მუსიკალური განათლება იქვე მიიღო. 17 წლისა იგი პეტერბურგს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. პეტერბურგის კონსერვატორიაში მისაღები გამოცდების ბრწყინვალედ ჩაბარების შემდეგ იგი ორი წლის მანძილზე სწავლობდა პროფესორ ფან-არკის კლასში, შემდეგ კი გადავიდა გამოჩენილი რუსი პიანისტის ანა ესიპოვას კლასში. ექვსი წელი, რაც მან ესიპოვას უშუალო ხელმძღვანელობით გაატარა, ჭეშმარიტად უმაღლეს არტისტულ მუსიკალურ სკოლად იქცა მისთვის.

1909 წელს ა. ვირსალაძემ წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია და იმ დროიდან იწყება მისი ნაყოფიერი, ინტენსიური პედაგოგიური და საშემსრულებლო მოღვაწეობა. კონცერტებით განსაკუთრებით ხშირად გამოდიოდა იგი 20-იან წლებში. შემდგომ, პედაგოგიური მუშაობით გადატვირთულობის გამო, გამოსვლების ინტენსიობამ იკლო, მაგრამ მომდევნო ხანებშიც, ხანდაზმულობის მიუხედავად მას პერიოდულად კვლავ ვხედავდით ესტრადაზე. მსმენელთა მეხსიერებაში წარუშლელია კლასიკური და რომანტიკული საფორტეპიანო ლიტერატურის მრავალი შედევრის ვირსალაძისეული ინტერპრეტაცია, აღბეჭდილი მაღალი, დახვეწილი, ესთეტიკური კულტურით. ა. ვირსალაძის საშემსრულებლო ხელოვნება გამოირჩეოდა ნაწარმოების მუსიკალური სტილის ფაქიზი შეგრძნებით, კეთილშობილური გემოვნებით, მხატვრული სიმართლისა და ზომიერების გრძნობით. მუსიკისადმი მხურვალე აღტაცებული სიყვარული შეადგენდა ა. ვირსალაძის როგორც ხელოვანისა და ადამიანის ყველაზე ნათელ თვისებას, რომელმაც მრავალმხრივ განაპირობა პროფ. ა. ვირსალაძის — პიანისტისა და პედაგოგის გამარჯვებები.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერია ა. ვირსალაძის როგორც პედაგოგის მოღვაწეობის შედეგები. თავისი ნახევარსაუკუნოვანი პედაგოგიური მუშაობის მანძილზე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში და ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში მან მუსიკოს-შემსრულებელთა რამდენიმე თაობა აღზარდა. მისმა საუკეთესო მოწაფეებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

პროფესორ ა. ვირსალაძის დაუღალავი, ნაყოფიერი შრომა ღირსეულად იქნა დაფასებული. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდებები, დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

ა. ვირსალაძე იყო უაღრესად პრინციპული, უანგარო, სპეტაკი და თავმდაბალი ადამიანი და ამ თვისებებს იგი უნერგავდა თავის მოწაფეებს.

ანასტასია ვირსალაძის სახელი სამუდამოდ დარჩება მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში. მისი ნათელი ხსოვნა წარუშლელი იქნება იმ ადამიანების გულში, რომელთაც ოდესმე მოუსმენიათ მისთვის, უსწავლიათ ან უსაუბრიათ მასთან.

**საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლა.**

# მასპინძლობს „გუმისთა“



უკვე ორ თვეზე მეტია სტუმრებს იღებს ახალი კემპინგი „გუმისთა“, რომელიც სოხუმთან ახლოს, მთის ჩქარი მდინარე გუმისთის ნაპირას მოეწყო. მდინარის ლამაზ ხეობაში ოცდაათამდე კარავია დადგმული, ამას გარდა აქ არის ერთოთახიანი სახლებიც. ავტოტურისტები ზოგჯერ საკუთარი კარვებითაც მოდიან და აქვე სახელდახელოდ შლიან. ასე რომ ახლა აქ ტურისტთა მთელი ქალაქია, სადაც 180-200-მდე კაცი ისვენებს.

აქ ჩერდებიან არა მარტო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ტურისტები, არამედ ხშირად უცხოელებსაც ნახავთ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ინგლისიდან, საფრანგეთიდან და ბელგიიდან, ჰოლანდიიდან და შვეციიდან ჩამოსულთ.

შთაბეჭდილებათა წიგნში, რომელიც კემპინგის დირექციაში ინახება, კმაყოფილებისა და მადლობის გამომხატველი მრავალი ჩანაწერია. აი რას წერს, მაგალითად, დუშანბეს სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ხაბიბა რახიმოვა:

— ჩემი ტურისტული მარშრუტი მთელ კავკასიას სჭრის, მაგრამ უფრო შთამბეჭდავი დღეები მე არსად არ გამიტარებია, როგორც აქ, ეგზოტიკურ კარვებსა და შესანიშნავი ბუნების წიაღში. ასეთივე აღტაცებაა გამოთქმული სვერდლოვსკელი რაისა შილიაევასა და სხვათა ჩანაწერში.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ტურისტთა „ქალაქი გუმისთა“.
ფოტო ს. კოროტკოვისა.

„კომუნისტი“ სპორტი

# მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მორიგი ტურის მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ გუნდები. მათი პირველი წრის შეხვედრა ტაშკენტში ფრედ (1:1) დამთავრდა. ასპარეზობა იმითაც იყო საინტერესო, რომ ერთმანეთს ხვდებოდნენ ბროლის თასის მფლობელი და ამ გარდამავალი პრიზისათვის მებრძოლი ერთ-ერთი ფინალისტი.

მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 1:0.

## გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 7 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კ.) | 28 | 17 | 9 | 2 | 48-17 | 43 |
| „სპარტაკი“ | 25 | 15 | 5 | 5 | 41-26 | 35 |
| „ტორპედო“ (მ.) | 26 | 12 | 10 | 4 | 40-21 | 34 |
| „დინამო“ (მნ.) | 26 | 12 | 8 | 6 | 29-21 | 32 |
| ცსკა | 25 | 12 | 7 | 6 | 31-21 | 31 |
| „დინამო“ (მ.) | 28 | 12 | 7 | 9 | 36-27 | 31 |
| „ლოკომოტივი“ | 25 | 10 | 10 | 5 | 27-20 | 30 |
| „დინამო“ (თბ.) | 25 | 10 | 9 | 6 | 29-16 | 29 |
| „ჩერნომორეცი“ | 26 | 10 | 9 | 7 | 36-31 | 29 |
| „ზენიტი“ | 26 | 7 | 11 | 8 | 23-32 | 25 |
| „შახტიორი“ | 26 | 7 | 10 | 9 | 26-26 | 24 |
| სკა | 26 | 8 | 7 | 11 | 33-36 | 23 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 26 | 7 | 9 | 10 | 17-20 | 23 |
| „ნეფტჩი“ | 26 | 7 | 8 | 11 | 24-34 | 22 |
| „ზარია“ | 27 | 7 | 8 | 12 | 15-32 | 22 |
| „არარატი“ | 25 | 7 | 5 | 13 | 23-34 | 19 |
| „ტორპედო“ (ქ.) | 27 | 5 | 8 | 14 | 20-32 | 18 |
| „კაირატი“ | 25 | 5 | 7 | 13 | 17-28 | 17 |
| „პახტაკორი“ | 26 | 5 | 7 | 14 | 26-47 | 17 |
| „დინამო“ (კირ.) | 26 | 4 | 8 | 14 | 15-30 | 16 |

# ოლიმპიური საგზურები განაწილდა

სომხეთის კურორტ ცახკაძორის საცურაო აუზში ამოიწურა უძლიერესთა პაექრობა ცურვაში, განაწილდა მედლების უკანასკნელი ათი კომპლექტი და მასთან ერთად ოლიმპიური საგზურებიც. სპორტსმენებმა რთულ პირობებში მაღალი შედეგები აჩვენეს.

გაგვეხარა ჩვენმა თანამემამულემ თინა ლეკვეიშვილმა. მართალია, მას მეორე ოქროს მედალი არ მოუპოვებია, მაგრამ ვერცხლის პრიზიორობა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 14 წლის გოგონასათვის ცუდი როდია, და ისიც ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენთან ტ. საველიოვასთან ორთაბრძოლაში. ტ. საველიოვა ჩემპიონი გახდა. დრო — 2 წუთი და 35,5 წამი. თინა ლეკვეიშვილის შედეგია 2 წუთი და 37 წამი.

200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში ქალთა შორის უძლიერესი იყო სსრ კავშირის რეკორდსმენი ტ. დევიატოვა. ამავე სტილით 100 მეტრზე ცურვაში ვაჟთათვის გაიმარჯვა ვ. ნემშილოვმა. ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში ქალთათვის ყველას აჯობა გ. პროზუმენშჩიკოვამ, ვაჟთა შორის — ე. მიხაილოვმა.

ჩემპიონები გახდნენ აგრეთვე ვ. კრავჩენკო, ვ. ზახაროვა, ლ. დობროსკოკინი და თ. სოსნოვა.

## პირველი ყაიმი

გუშინ კიევში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის პირველი პარტია ბ. სპასკისა და ვ. კორჩნოის შორის. 24-ე სვლაზე ბ. სპასკის წინადადებით მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. მორიგი პარტია ჭადრაკში შედგება 8 სექტემბერს.

## წყალბურთელთა ასპარეზობა

საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზში რამდენიმე დღეა გრძელდება „ბ“ კლასის წყალბურთელთა გუნდების ასპარეზობა უმაღლესი ლიგის საგზურებისათვის.

წარმატებით გამოდის საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც პირველ სამ ტურში სამივე შეხვედრა მოიგო და ლიდერი გახდა. მესამე მატჩი ჩვენს წყალბურთელებს ჰქონდათ ტაშკენტის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 8:6.

## თბილისელები ფინალში

მოსკოვში დამთავრდა პირველი საკავშირო ჩემპიონატის წინასწარი შეხვედრები რეგბიში. თბილისის „ლოკომოტივი“ ამლავლობით იბრძოდა და მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდთან ერთად ფინალში გავიდა. ფინალის ორ დანარჩენ მონაწილეს ლენინგრადის ტურნირი გამოავლენს.

# რ ა დ ი ო

კვირა, 8 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები, 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.50 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — დუეტები ქართული ოპერებიდან, 11.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 12.00 — უკანასკნელი ცნობები, 12.10 — მუსიკალური რადიოაფიშა, 12.40 — ნარკვევი „ისევ მწყობრში“, 13.00 — ჰ. ბერლიოზი. სიმფონიური ნაწარმოებები, 13.40 — კონცერტი-შეხვედრა კომპოზიციისათვის თემაზე: „ნ. ბარათაშვილი და მუსიკა“, 14.00 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ორი მეგობარი“, 14.45 — საუბარი „ფოლადის ჯავშანი“, 15.00 — მეგობრობის კონცერტის ტრანსლაცია ბაქოდან, 15.40 — ქართველი პოეტების ლექსები ლენინზე, 16.00 — ციკლიდან „გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლები“ — სვიატოსლავ რიხტერი, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.00 — „ოცდამეთოთხმეტე“ დოკუმენტური რადიომოთხრობა (მოსკოვი), 19.30 — საესტრადო კონცერტი, 20.30 — გ. დონიცეტი. ოპერა „სიყვარულის ნექტარი“ (მონტაჟი), 21.30 — „ლიტერატურული ალმანახი“, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

# ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა

● შაბათი, 7 სექტემბერი

10.35 — გადაცემათა პროგრამა, 10.45 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „გილოცავთ დაბადების დღეს“ — მუსიკალურ-გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „შაბათის, რეპორტაჟი“ (გადმოცემა ტაშკენტიდან), 12.00 — „მელოდიიდან-მელოდიამდე“ — საესტრადო პროგრამა, 12.30 — ფოლკლორული კლუბი — „წყარო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „ცოდნა“ — სამეცნიერო-შემეცნებითი პროგრამა (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 14.15 — ქართული მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე“, 17.00 — საღამოს გადაცემათა პროგრამა, 17.05 — ახალი ამბები, 17.10 — კინონარკვევი, 17.30 — უფროსკლასელთათვის — „მოთხრობები ლენინურ კომკავშირზე“, 18.20 — კინონარკვევი, 18.30 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა — „მეგობრების მელოდიები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.40 — „ათლეტიზმის სატელევიზიო კლუბი“, 20.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.20 — ქართული მხატვრული ფილმი „სამი სიცოცხლე“ (პირველი სერია), 21.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის „იავნანა“, 22.45 — კინონარკვევი, 23.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.25 — ციკლიდან „ხელოვნების ოსტატები“ — პ. სერებრიაკოვი (გადმოცემა ლენინგრადიდან), 00.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.20 — „ეთერშია — „ახალგაზრდობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) 19-დან 00 საათსა და 35 წუთამდე.

● კვირა, 8 სექტემბერი

10.05 — გადაცემათა პროგრამა, 10.15 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — მხატვრული ფილმი: „რეკავენ, გააღეთ კარი“ (ქართული ვარიანტი), 12.15 — „ცისარტყელა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — მხიარული ეკრანი, 13.15 — კონცერტი, 14.00 — ლიტერატურული თეატრი — „პანკრაცის ტყვე“ — ეძღვნება იულიუს ფუჩიკის დაღუპვის 25 წლისთავს (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.45 — მუსიკალური კიოსკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.15 — „ტანკისტის დღე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — ქართული მხატვრული ფილმი „სამი სიცოცხლე“ (მეორე სერია), 17.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.05 — საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“, 18.15 — გადაცემა „ჰოლივუდი და ევროპის კინოხელოვნება“, 19.15 — „შვიდი დღე“ — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეოდ“ — ახალი გამოცემები, 20.40 — „ეთერშია ახალგაზრდობა“ (გადმოცემა კიევიდან), 22.00 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 23.30 — პროგრამა 9 სექტემბრისათვის, 23.35 — ტანკისტების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.20 — „მხოლოდ ფაქტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) 10-დან 00 საათსა და 50 წუთამდე.

● ორშაბათი, 9 სექტემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის — „გვეწვიე, ზღაპარო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის „იავნანა“ (7 სექტემბრის გადაცემის გამეორება), 12.15 — სატელევიზიო დადგმა „დაუმარცხებელი ტყვე“ (ცენტრალური ტელევიზიის ნაწარმოები), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.35 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ჩვენი სახელოვანი წინაპრები“, 2. „ჩვენი კინოდარბაზი“, 19.15 — ნ. ბარათაშვილის საიუბილეოდ, 20.00 — „მსოფლიო დღეს“ (საერთაშორისო მიმომხილველები სტუდიაში), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.00 — სატელევიზიო სპექტაკლი „თავისუფლების პირველი დღე“ (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 23.00 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“ — ეძღვნება ბულგარეთის ეროვნულ დღესასწაულს — განთავისუფლების დღეს (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.15 — „მხოლოდ ფაქტები“ და „მუსიკალური შუქურა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

● სამშაბათი, 10 სექტემბერი

10.55 — გადაცემათა პროგრამა, 11.00 — ნ. ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოსა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის გაერთიანებული პლენუმი (ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „აქ სწავლობდა ტატო“, 2. „ჩვენი კინოდარბაზი“, 19.30 — ნ. ბარათაშვილის საიუბილეოდ — ირაკლი ანდრონიკაშვილის გამოსვლა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — კინოპროგრამა, 20.30 — კონცერტი, 21.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.35 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.40 — მხატვრული ფილმი „ქალაქი ადრე იღვიძებს“.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

● ოთხშაბათი, 11 სექტემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 12.00 — ნ. ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზიდან, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“ — საუბარი „სრული სამეურნეო ანგარიშის სიკეთე“, 18.45 — კინოპროგრამა, 20.00 — ნ. ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ტრანსლაცია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენებისას — საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“, 22.30 — კინოპროგრამა, 23.40 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.45 — პოპულარული საორკესტრო მუსიკის კონცერტი (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

● ხუთშაბათი, 12 სექტემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში „ცსკა“ — „დინამო“ კიევი — მეორე ტაიმი (ვიდეოჩანაწერი მოსკოვიდან), 12.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ქალაქი ადრე იღვიძებს“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — ბავშვებისათვის: „ჩვენი კინოდარბაზი“, 19.10 — „მშრომელთა წერილების კვალდაკვალ“, 19.30 — „ეთერშია ახალგაზრდობა“, 20.10 — ბავშვებისათვის: „ჩვენი კინო-20.40 — კინოპროგრამა, 21.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.15 — „თეატრალური შეხვედრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.45 — ფიზკულტურა და სპორტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.15 — „მხოლოდ ფაქტები“ და „მუსიკალური შუქურა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

● პარასკევი, 13 სექტემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 11.45 — მხატვრული ფილმი „შუადღის ბორანი“, 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — ნ. ბარათაშვილის საიუბილეოდ — „პოეზიის საერთაშორისო საღამო“. გადაცემა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მცირე დარბაზიდან, 18.45 — ბავშვებისათვის: „ჩვენი კინოდარბაზი“, 19.15 — გადაცემა „თერჯოლელ მშრომელებთან“, 19.45 — კინონარკვევი, 19.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.00 — სპორტული პროგრამა „სტადიონი“. საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო“ მინსკი — „სპარტაკი“ მოსკოვი (გადმოცემა მინსკიდან), 21.45 — „ახალი ამბების ესტაფეტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — კონცერტი, 23.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.30 — „ეკრანზე, მოსკოვის ოპერეტის თეატრი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.15 — „მხოლოდ ფაქტები“ და „მუსიკალური შუქურა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა (მეცხრე არხით) დასაწყისი 11 საათიდან.

ერევნიდან იუწყებიან

# ზანგეზურში მოხდარი მიწისძვრის შემდეგ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სომხეთის მთიან მხარეში — ზანგეზურში ამას წინათ მოხდა მიწისძვრა. 2, 3 და 4 სექტემბერს აქ აღინიშნა ახალი მიწისქვეშა ბიძგები, მაგრამ უკვე გაცილებით ნაკლები ძალისა.

როგორც საქდესის კორესპონდენტი ერევნიდან იუწყება, მიწისძვრის ადგილას გაემგზავრა რესპუბლიკის მთავრობის კომისია, რომელმაც ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელა საჭირო ღონისძიებანი მიწისქვეშა ბიძგების შედეგების ლიკვიდაციისათვის.

სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკისა და საინჟინრო სეისმოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. გ. ნაზაროვი ახლანდელი მიწისძვრის მნიშვნელოვან სეისმურ ეფექტს ხსნის იმით, რომ მისი კერა შედარებით ახლოს იყო ზედაპირთან.



მშვიდი პალიასტომი. ფოტო ვ. მენშიურისა.

# დღეს თბილისის თეატრებში

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ პასკუალე (მე-11 აბონ. მე-8 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ანტიგონე (პრემიერა), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — იცოცხლე მრავალჟამიერ, ფილარმონიის საზაფხულო (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდია „ჩვენი სახლი“) — სტარტს ვილებთ და ვაჩვენებთ.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი“ | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოს — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96. ჩვენი მისამართი და ტელეფონები